



# ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/Akhali Ganatleba

№10 (924) გამოდის 1998 წლიდან

01-07.04.2021

## ატვალური თემა

ლალი ჯალაძე

განიხილება თუ არა სქემის შეჩერება ან რას სთავაზობს მასწავლებელთა კროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მასწავლებლებს



➡ ინტერვიუ მანანა რატიანთან

მანა ყიფიანი

სქემა, რომელიც არათანაბარ პირობებში აყენებს კელაგობებს



➡ ინტერვიუ ელზა ბაღაშვილთან

4

ერმალო ლანგავე, ლია ბოზონია

უფროსებო, მოუსმინეთ შვილებს, ანუ თინეიჯერების თვალით დანახული კანდეშია

5

შორენა ხუზა

ღირეჭტორი სახელმწიფოებრივი აზროვნების, პრინციპულობის, თავისუფლებისთვის ბრძოლის მატალითი უნდა იყოს

6

მანა ჩხიკვაძე

კარალებები ბლუმის სააზროვნო ღონეებსა და სოლო ტექსტონომიას შორის

7

ეკატერინე მხეიძე

სულხან-საბა ორბელიანის ერთი იბავის ანალიზი ილია ჭავჭავაძის ნააზრების ფონზე

საქართველო

# განიხილება თუ არა სქემის შეჩერება ან რას სთავაზობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მასწავლებლებს

⇒ ინტერვიუ მანანა რატიანთან

გოლო დღეებში, სოციალურ ქსელებში, ძალიან გააქტიურდა მასწავლებელთა ნაწილი მოთხოვნით, გაუქმდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა ან სტატუსის ცვლილება მხოლოდ გამოცდებით მოხდეს. პედაგოგებმა პეტიციაც კი მოამზადეს – შეწყდეს სქემა. ცხადია, სქემის გაუქმებას ბევრი ისეთი თანამდევნი პროცესი ახლავს, რომელიც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის სტატუს მინიჭებულ პედაგოგებს – თუნდაც ის, რომ სქემის შეწყვეტა მასწავლებელთა დანაშაულის შეწყვეტას გამოიწვევს.

მასწავლებლის სახლი, პროტესტის ფონზე, აქვეყნებს განცხადებას, რომელიც ვკითხულობთ, რომ აქტიურად იწყებს თანამშრომლობას მასწავლებლებთან და მეტიც, მათი ჩართულობით გეგმავს მასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების სრულყოფას.

რას ხდება რეალურად? განიხილება თუ არა სქემის შეჩერება ან რას სთავაზობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მასწავლებლებს? ამ თემაზე საუბრობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი.



– ქალბატონო მანანა, როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა ამ დღეებში სქემა ასეთი აქტიულო?

– ფაქტია, ახლა რაც მოხდა, ეს იმის მანიშნებელია, რომ სადღაც განწყობა სრულფასოვანი ინფორმაცია მასწავლებლებსა და ჩვენ შორის. სიახლე აღარ არის სქემასთან დაკავშირებული ცვლილებები და ასეთი დაგვიანებული რეაქცია ამ თემაზე სწორედ ამ კავშირის განწყობაზე მიუთითებს. არადა, როცა სიახლე იყო, იმ პერიოდში, ჩვენ მართლა გვექონდა ინტენსიური კომუნიკაცია მასწავლებლებთან, თუნდაც თქვენი გაზეთისა და პორტალის საშუალებით – არაერთხელ დაუთმეთ საკმაოდ ვრცელი ინტერვიუები ამ საკითხებს. თუმცა, როგორც ხედავთ, ახლა მოექცა რაღაც დეტალები ყურადღების ქვეშ და ახლა აღმოცენდა სქემიდან რაღაც ფრაგმენტები, რომელიც თითქოსდა გაურკვეველია მასწავლებლებისთვის.

ზაფხულში იგეგმებოდა მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესის მიღება, სადაც გაერთიანებული იქნებოდა მასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები (პროფესიული საქმიანობის დანაშაულები, როგორ უნდა იყოს სკოლასთან ურთიერთობა, როგორ ჩაერთოს პროფესიული განვითარებაში და ა.შ.), ყველაფერი, რაც მასწავლებლის საქმიანობას შეეხება ერთ დოკუმენტად უნდა შემუშავებულიყო, ამიტომ მასწავლებლის კარიერული წინსვლის სქემაში შევიტანეთ ცვლილებები, მათ შორის გარდამავალი დებულებების სახით. ამ გარდამავალი დებულებებით უფლება მიეცემა იმ მასწავლებლებს, რომლებიც უკვე ჩართულები იყვნენ პროცესში, არ შეწყვიტათ და დაგვესრულებინა მათი კარიერული წინსვლის პროცესი გარკვეული პერიოდის მანძილზე. განსხვავებულია პერიოდები სტატუსების მიხედვით და განსხვავებულია ჩაინერგა ვინ როდის და როგორ დაასრულებდა პროცესს. ცხადია, მასწავლებლებსაც გავაცანით, რომ ეს დებულებები მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა.

გარდამავალი დებულებები შეეხო პრაქტიკოს მასწავლებლებს და უფროს მასწავლებლებს, რომლებმაც უნდა გაიუმჯობესონ სტატუსი, მაგალითად, იმ უფროს მასწავლებლებს, რომლებიც გარე დაკავშირებაზე იყვნენ დარეგისტრირებული. ამასთანავე, მოვხსენით ის წნეხი, რომელზეც, კვლევების მიხედვით, მასწავლებლები ხშირად საუბრობდნენ, მაგა-

ლითად, ძალიან ბევრი დოკუმენტის წარმოება რომ უნდებოდათ. ვეცადეთ, რომ ამ გარდამავალ პერიოდში მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში არ დაგვეკარგა მასწავლებლებისთვის წინსვლის შესაძლებლობა და მოგვეხსნა ის ზედმეტი ბიუროკრატიული ტვირთი, რაზეც ისინი ჩიოდნენ.

– მასწავლებელთა სახლმა გამოაქვეყნა განცხადება, რომ იწყებს მასწავლებლის რეგულირების წესის შემუშავებას

– რაც შეეხება ახალი რეგულირების წესს, ჩვენ უკვე დაიწყეთ მუშაობა და რადგან ეს წესი ყველა მასწავლებელს ეხება, ცენტრმა გადაწყვიტა, დოკუმენტი სწორედ მათი მაღალი ჩართულობით შევიშუშოთ. გვინდა, მათ მიდგომებსა და იდეებს გავეცნოთ, ამიტომ გამოაცხადეთ რეგისტრაცია მასწავლებლებისათვის. ისინი თავიანთ მოსაზრებებს გავაცნობენ უკუკავშირის კითხვარის მეშვეობით, შემდეგ ჩვენ გააანალიზებთ ამ მასალას და ისეთ დოკუმენტს შევიშუშებთ, რომელიც ყველა მასწავლებლისთვის იქნება მისაღები. ამავედროულად, რა თქმა უნდა, შევხვდებით სკოლების ადმინისტრაციებს. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის დირექტორების, მოადგილეებისა და რესურსცენტრების აზრი იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ მასწავლებლები, რამდენად მისაღებია ან რამდენად რთულია მასწავლებლებისთვის სქემით დაკისრებული დამატებითი აქტივობები და ა.შ. ცხადია, ჩვენ მათზე უკეთ არ ვიცით ამის შესახებ, მათ უფრო ინტენსიური ურთიერთობა აქვთ სკოლის ბაზაზე და, შესაბამისად, კარგად იციან – რა მუშაობს ან რა არ მუშაობს; რა შეეცვალოთ ან რა გავაკეთოთ. რა თქმა უნდა, ამ თემებზე დირექტორებთან გვექნება საუბრები. თავისთავად ცხადია, გარე დაინტერესებულ მხარეებსაც მივცემთ საშუალებას, გარკვეული დროით, ჩაერთონ პროცესში და ერთობლივად შევიშუშოთ რეგულირების წესს, რომელსაც აუცილებლად გამოვიტანთ საჯაროდ განსახილველად. ასე რომ, ეს იქნება მასწავლებლებისა და სასკოლო საზოგადოების ძალიან მაღალი ჩართულობით შექმნილი დოკუმენტი. ეს არის ამ მომენტისთვის რისი თქმაც შემიძლია სქემის და რეგულირების წესის შესახებ.

– რას უპასუხებდით პეტიციის ხელმძღვანელებს?

– რა თქმა უნდა გვერდს არ აუვლით არც პეტიციას, რომელიც მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა სქემის გაუქმე-

ბასთან დაკავშირებით მოამზადა. აუცილებლად ყურადღებით გავეცნობთ მას, თუმცა, აქვე გეტყვით, რომ სქემის შეწყვეტა არ განიხილება. როგორ შეიძლება შეწყვიტოს სქემა? ეს ნიშნავს, ათიათასობით მასწავლებელს გავუწყვიტოთ წინსვლის პროცესი, მივაყენოთ ზიანი მხოლოდ იმის გამო, რომ პედაგოგთა გარკვეულმა ნაწილმა სტატუსი ვერ მოიპოვა... ამას, ცხადია, არ გავაკეთებთ. ეს მათი მხრიდან უფრო შავს უკმაყოფილების გამოხატვას ცენტრის მიმართ.

– მასწავლებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კარიერული წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ გამოცდებით. ამაზე რას გეტყვობთ?

– მასწავლებლების იმ ნაწილისთვის, რომელიც მოითხოვს, რომ გაუქმდეს აქტივობები და კარიერული წინსვლა მხოლოდ გამოცდების ჩაბარებით მოხდეს, კიდევ ერთხელ განმარტავ: ჩვენ არ გვინტერესებს თეორიულად აქვს თუ არა გაცნობიერებული მასწავლებელს სიახლეები, რომელიც მის პროფესიულ სტანდარტშია ასახული – რას უნდა აკეთებდეს სტატუსის შესაბამისად სკოლაში, ჩვენ გვინტერესებს პრაქტიკულად როგორ და, რაც მთავარია, როგორი ხარისხით ახერხებს ის ამ სიახლეების მიწოდებას მოსწავლისთვის. აქედან გამომდინარე, წინსვლა არ იქნება მხოლოდ თეორიულ კომპონენტზე დაფუძნებული, ეს ცალსახად არის ახალი სქემის პრინციპი. რა თქმა უნდა, ამაზეც ვილაპარაკებთ მასწავლებლებთან და მათგანაც მივიღებთ არგუმენტებს და არა მოთხოვნებს – ეს მინდა და ეს არ მინდა. თავისთავად, ყველაფერი მოსწავლეზე ისე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ, საბოლოო ჯამში, ხარისხიანი განათლება განაპირობოს.

პრაქტიკოსების გამოცდა კი ისევ ძალაში რჩება, რეგისტრაციაც ჩატარდა, წარმატებებს ვუსურვებ მათ. ნამყვან და უფროს მასწავლებლებს კი, წინსვლის საშუალება მას შემდეგ მიეცემა, როცა რეგულირების წესს დაეამტკიცებთ. როგორც კი დოკუმენტის სამუშაო ვერსია გვექნება, პირველ რიგში, სასკოლო საზოგადოებას გაეუზიარებთ, შემდეგ კი – უფრო ფართო საზოგადოებას.

ესაუბრა ლალი ჯილაძე

# სქემა, რომელიც არათანაბარ პირობებში აყენებს კელაგობებს

⇒ ინტერვიუ ელზა ბადაშვილთან

რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელებში გავრცელდა პედაგოგთა ნაწილის ინიციატივით შექმნილი პეტიცია, რომელიც „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ შეჩერებას ითხოვს.

პეტიციაში აღნიშნულია, რომ სქემა ხელს უშლის საჯარო სკოლების დაცენტრალიზაციის პროცესს, უხეზავს ერევა კერძო სკოლების სამუშაო პროცესში, არათანაბარ პირობებში აყენებს პედაგოგებს, დისკრიმინაციულია. პეტიციის ინიციატორები სქემის შეჩერებას და ახალ დოკუმენტზე მუშაობის დანაშაულის მოითხოვენ, საზოგადოების ჩართულობით. იმისათვის, რომ პეტიცია საქართველოს მთავრობას განსახილველად გადაეგზავნოს, საჭიროა 2000 ხელმოწერა, ხელმოწერების შეგროვება გრძელდება.

გვესაუბრება პეტიციის ავტორი, „საქართველოს სკოლის ლიდერთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი ელზა ბადაშვილი.

– ელზა, თქვენ ხართ იმ პეტიციის ავტორი, რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შეჩერების მოთხოვნით შეიქმნა. რა ხარვეზებს ხედავთ სქემაში, როგორია თქვენი რეკომენდაციები და რას შეცვლიდით?

– დიან, მე ვარ პეტიციის ავტორი, რომლითაც მოვითხოვთ

სქემის შეჩერებას, რაც გულისხმობს სქემიდან იმ მოთხოვნების ამოღებას, რასაც „ახალი სკოლის მოდელი“ ითვალისწინებს, რომელიც ყოველ წამს იცვლება და ერთიანი დოკუმენტის სახით ჯერ არ გვინახავს (მაგ. სქემის მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი ბ) და გ), ასევე, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სავალდებულოდ გასავლელ 20-12-6-საათიან



ტრენინგებს. პროტესტი გამოიწვია მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრებისა და შეფასებისათვის სავალდებულო გაკვეთილების რაოდენობის განსაზღვრამ – 3-2-1, ვინაიდან მასწავლებლის შეფასება სკოლის დირექტორის პირდაპირი მოვალეობაა და როგორ, რა მეთოდებით განახორციელებს ამას, მისი საქმეა.

საქალაქო თემა

ეს შეზღუდვები კერძო სკოლებზეც ვრცელდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სკოლაში მსგავსი მოთხოვნების შეტანა საჯარო და კერძო სკოლების ცენტრალიზაციის მცდელობაა.

ამ ეტაპზე უნდა შენარჩუნდეს მხოლოდ მასწავლებლის გამოცდები საგანში და პროფესიულ უნარებში. სკემა ისედაც ლოგიკურ დასასრულამდე მიდის, სტატუსის ასამაღლებელი გამოცდები 2022 წელს მოიხარება. ამასთან, სრულიად სხვა დოკუმენტზე იწყებენ მუშაობას – „მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი“. ამ წესში უნდა გაერთიანდეს ყველა დოკუმენტი, რაც მასწავლებელს შეეხება (სტანდარტი, წინსვლა...). რა თქმა უნდა, ახალმა წესმა, მასწავლებელს უნდა გაუმარტივოს საქმიანობა. ყველა მასწავლებელი თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყოს. პეტიციის გაცნობის შემდეგ, მასწავლებლის სახლიდან გამოითქვა თანამშრომლობის სურვილი და ჩვენ აქტიურად ჩავერთვეთ „მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესის“ შემუშავებაში.

**– როგორც ამბობენ, მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი ერთიანი დოკუმენტი იქნება და აღარ იქნება, ცალკე, სკემა და სტანდარტი. განხილვის პროცესში ყველა მსურველს შეეძლება ჩართვა. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვლება რეგულირების წესის შემოღებით?**

– სისტემაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ძალიან რთული იქნება ისეთი დოკუმენტის მიღება, რომელიც ყველა მასწავლებელს თანაბარ პირობებში ჩააყენებს. ერთია, რომ სტანდარტი აუცილებლად გასამარტივებელია. მე და ჩემს მეგობრებს სურვილი გვაქვს, მონაწილეობა მივიღოთ რეგულირების წესის შემუშავებაში. შევხედავთ პროცესებს, რამდენად გაითვალისწინებენ ჩვენს აზრს.

**– განხილვის თემა, ასევე, მასწავლებლის სტატუსების მუდმივად შენარჩუნების თუ საერთოდ გაუქმების საკითხი. თქვენ რას ფიქრობთ სტატუსებთან დაკავშირებით?**

– სტატუსების შემოღება და მისი სახელფასო დანამატზე მიბმა, ჩემი აზრით, შეცდომაა. კანონი ამბობს, რომ სტატუსი მუდმივია. ასევე ამბობს მასწავლებლის სტანდარტი, რომ წამყვანმა/მენტორმა მასწავლებელმა, წლის მანძილზე, გაკვეთილების გარდა, უნდა დაეკავშიროს და ჩაატაროს დამატებითი აქტივობები: ჩაერთოს სკოლის მართვაში, განახორციელოს სკოლის/ადგილობრივი საზოგადოების საქმიანობის კვლევა, იმუშაოს ეროვნულ დონეზე ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით... ამაზე მიბმული მათი დანამატი (სტანდარტის მუხლი 3. პუნქტი 2. სტანდარტის მეორე ნაწილი (IV თავი) მოცემულია დამატებითი მოთხოვნებისა და კომპეტენციების ჩამონათვალი წამყვანი და მენტორი მასწავლებლისათვის). არსად წერია, რა ხდება მაშინ, თუ წამყვანი/მენტორი მასწავლებელი ამ დამატებით ვალდებულებებს არ შეასრულებს, მაინც მიეცემა დანამატი?

ასევე სტანდარტი ითვალისწინებს ზოგად ნაწილს (მუხლი 3. პუნქტი 1. II, III თავები), რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ კომპეტენციებს ყველა მასწავლებლისათვის (უფროსი/წამყვანი/მენტორი), რომ აღარაფერი ვთქვათ სკემაზე. დასაკმაყოფილებელია 2 სტანდარტი: სასწავლო პროცესი და პროფესიული პასუხისმგებლობები და ეთიკა. ამ 2 სტანდარტს აქვს მიმართულებები: 5 – პირველს და 4 – მეორეს, ამ მიმართულებებს, შესაბამისად – 34 და 13 ინდიკატორი, სულ 9 მიმართულება და 47 ინდიკატორია.

ვთქვით, ეს მოთხოვნებიც არ დააკმაყოფილეს მასწავლებლებმა, მაშინ რა ხდება? აღარ აძლევენ უფროსის სტატუსის დანამატს? ამიტომ, ამ კითხვას ასე ვუპასუხებდი – მე არც სტატუსების მომხრე ვარ და არც მათზე დანამატის მიზმის. ჩემი სურვილია ისეთი დოკუმენტის მიღება, რომელიც იქნება შესრულებადი, გაზომვადი და მორგებულ რეალობას.

**– 10 და 1, 4, 7-კრედიტიანებისთვის ერთიანი სტატუსის მინიჭებამ მასწავლებლები ერთმანეთს დააპირისპირა. როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლებულია ეს გადაწყვეტილება?**

– როდესაც სახელმწიფო ატარებს გამოცდებს და ხედავს, რომ მასწავლებელთა 80-90%, წლების განმავლობაში, ვერ იღებს საკითხების 60%-ს, ხომ უნდა დაფიქრდნენ, იქნებ მასწავლებელში კი არა, საგამოცდო შინაარსსა და ტესტებშია საქმე? ვინმემ ჩაატარა კვლევა, რამდენად ვალიდური და სანდო იყო მასწავლებელთა საგამოცდო ტესტები (გამოცდების შემდეგ)? მაგალითად, იმისათვის, რომ მასწავლებელს I-VI კლასების ბუნებისმეტყველება ჩაებარებინა, რა ცოდნას მოითხოვდა მისგან გამოცდა? ბუნებისმეტყველების გარდა, მასწავლებელს უნდა სცოდნოდეს – ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ასტრონომია, გეოგრაფია და თან ძალიან მაღალ დონეზე. იმის ნაცვლად, რომ ეძებნათ მიზეზები, თუ რატომ ვერ ახერხებდნენ მასწავლებლები გამოცდებს, მარტივი გზა მონახეს – შესაძლებელი გახადეს გამოცდის ნაწილობრივ ჩაბარება – 1-4-7 კრედიტზე.

მე წინააღმდეგი ვიყავი, რომ მასწავლებლებს გამოცდები ნაწილობრივ ჩაებარებიათ. ჩემთვის ეს ნიშნავდა მასწავლებლის შურადაცხვარვას, შედეგად ასეთი დადგა. ზუსტად გამოცდის ნაწილობრივ ჩაბარების შემოღებამ დააპირისპირა მასწავლებლები და არასახარბიელო შედეგებიც მივიღეთ. დღეს, სისტემაში 250 მასწავლებელი გვყავს, რომლებმაც საგანი 1-4 კრედიტზე ჩააბარეს და მიიღეს წამყვანის/მენტორის სტატუსი. ასევე, არ არის გათვალისწინებული მასწავლებელი ბაკალავრი იყო თუ მაგისტრი. ჩემთვის აქსიომაა, რომ წამყვანი/მენტორი მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს მაგისტრი.

ახლა კი სკემა მოითხოვს, რომ ვისაც 1-4 კრედიტზე აქვს ჩაბარებული საგანი, გადააბაროს. ამით ხომ მასწავლებლებს არათანაბარ მდგომარეობაში ვაყენებთ? დამატებით, დიდაქტიკის გამოცდის ჩაბარებასაც ითხოვენ.

ასევე ძალიან არასამართლიანი დამოკიდებულებაა მაძი-

ებლების მიმართ, რომლებმაც 10 კრედიტზე უნდა ჩააბარონ საგანი, რომ სკოლაში შესვლის შესაძლებლობა მისცენ და იმისათვის, რომ წამყვანი/მენტორი გახდეს, საგანში 7 კრედიტზე საკმარისია. ამიტომ, მიმაჩნია, რომ 10-კრედიტიან და 1-4-7-კრედიტიან მასწავლებლებად დაყოფა სირცხვილია.

**– მასწავლებლები სკოლებში საათების არაკანონიერად განაწილებაზეც საუბრობენ...**

– სკემის 21-ე მუხლის მე-5 პრიმა 1 პუნქტში პირდაპირ წერია – „საჯარო სკოლა ვალდებულია სასკოლო საათობრივი ბადით გათვალისწინებული საათები, პირველ რიგში, გაუნაწილოს კონკრეტული საგნის უფროს/წამყვან/მენტორ მასწავლებლებს და კონკრეტულ საგანში საათები შეუვსოს სრულ დატვირთვამდე (15 საათის ჩათვლით, ხოლო კომბინირებული დაწყებითი (I-IV) კლასის მასწავლებელს 13 საათის ჩათვლით), ასეთის არსებობის შემთხვევაში“. მიუხედავად ამ ჩანაწერისა, დირექტორების უმრავლესობა მთავრობის დადგენილების ამ მოთხოვნას არ ითვალისწინებს. ძალიან ბევრი მასწავლებელი მიკავშირდება ამ საკითხზე, ჩივიან სამინისტროში, რესურსცენტრში – პასუხი კი ერთია – ეს დირექტორის პრეროგატივაა. რამდენიმესთვის უთქვამთ, სასამართლოში გასასჩივრეო, ე.ი. მასწავლებელმა უნდა მოძებნოს იურისტი (გასწავლოს ხარჯი), შეიტანოს განცხადება სასამართლოში და მერე წლები ელოდოს პასუხს. რატომღაც ამ საქმეში რესურსცენტრის იურისტი არ ეხმარებათ.

ყველა დირექტორს „ერთ ქვაბში ვერ ჩაყვრივთ“ და ეს საყვედური ყველაზე არ ითქმის, მაგრამ ნამდვილად გვყავს ისეთი დირექტორები, რომლებიც მათთვის არასასურველ კადრს ავიწროებენ და ნაკლებ საათებს აძლევენ. საათების განაწილება დირექტორის საქმე არ უნდა იყოს, ეს საკითხი კათედრაზე უნდა განიხილებოდეს (უნდა არსებობდეს საათების განაწილების პრინციპებიც). ეს ჩანაწერი უნდა გაჩნდეს ზოგადი განათლების კანონში, კათედრების ფუნქციებში.

**– რეალურად აქვს თუ არა სკოლას ავტონომია?**

– ყველა ხელისუფლება ამ ლოზუნგით მოდის, რომ გაათავისუფლებენ სკოლებს პოლიტიკისგან, მოხდება დეცენტრალიზაცია, მაგრამ საპირისპირო ხდება. ჩვენთვის ცნობილია ავტონომიის 2 კატეგორია (კრიტიკიუმის ავტონომია და ოპერაციული ავტონომია), ოპერაციული ავტონომიურობა, თავის მხრივ, იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად: აკადემიური, ორგანიზაციული, საკადრო და ფინანსური ავტონომია. არც ერთი მიმართულებით სკოლა თავისუფალი არ არის, ყველაფერი მკაცრად კონტროლდება.

ახლა მხოლოდ ორგანიზაციულ ავტონომიას შევხებით – სისტემიდან გაუშვებს /არ გადანიშნავს სერტიფიცირებული დირექტორების ნაწილი (რომელთა გადაშლაც/გადახადებაც/ტრენინგებში სახელმწიფომ მილიონები დახარჯა) ისე, რომ სამინისტრომ საჭიროდ არ ჩათვალა განემარტა, რატომ გადანიშნავს ზოგიერთი მოვალეობის შემსრულებელი და რატომ გაუშვებს სხვები, მათ ადგილებზე კი, პარტიული ნიშნით, დანიშნავს უსერტიფიცირებულ, სკოლის მართვაში გამოცდილი აქტივისტები. პასუხი კითხვაზე მარტივია – სკოლა მკაცრად ცენტრალიზებული ვერტიკალით იმართება!

**– უნდა სჭირდებოდეს თუ არა წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებელს წინსვლისათვის გარე დაკვირვება და დაუსრულებელი საგნობრივი ტრენინგები?**

– იმედი მაქვს, ახალ დოკუმენტში – „მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი“ სხვა პრინციპები აისახება. ჩემი აზრით, მასწავლებლის წინსვლა მხოლოდ გამოცდით უნდა იყოს შესაძლებელი. არანაირი 360-გრადუსიანი შემოწმება გამართლებულად არ მიმაჩნია.

შესაძლებელია ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვაც, მაგალითად, მასწავლებელს რეკომენდაცია სტატუსის ამაღლებაზე მისცეს პედაგოგიურმა საბჭომ. აქვე შეიძლება განისაზღვროს, გადაწყვეტილება პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტის თუ 2/3-ის თანხმობის საფუძველზე მიიღებოდეს. ამაზე რეალური შემთხვევები ვერ იქნება ერთი დღით მოსული გარე დამკვირვებელი.

რაც შეეხება ტრენინგებს, შესაძლოა, სხვადასხვა ორგანიზაციებმა მიანდონ მასწავლებლებს თემატური ტრენინგები, იქნება ეს საგნობრივი, მეთოდური თუ ფსიქოლოგიური... მთავარია, ბაზარზე არ არსებობდეს მონოპოლისტი და მასწავლებელმა გააზრებულად აირჩიოს ტრენინგის კურსის ჩამტარებელი, სანდოობის მიხედვით. საინტერესო თემასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ ატარებს ტრენინგს, როგორი პროფესიონალია. მასწავლებელი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, ირჩევს, რომელ ტრენინგს დაეწინაურება, სახელმწიფო კი ამისათვის აძლევს ვაუჩერს. რაც მთავარია, ეს პროცესი არ უნდა იყოს ძალდატანებითი. ტრენინგები რომ საჭიროა, ამას არ უარყვოთ.

**– მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ გამოცდა ჩაბარებული და პრაქტიკოსი მასწავლებლები ერთნაირ გავლენას ატარებენ და სტატუსები მხოლოდ პედაგოგის ხელფასზე აისახება. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?**

– მასწავლებლის სტატუსი, სამწუხაროდ, არ აისახება გაკვეთილის ხარისხზე და რაც მთავარია, მოსწავლეთა შედეგზე. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები ბევრ ტრენინგს დაეწინაურნენ, გაკვეთილები დაგვემს და ჩაატარეს, კვლევები დაწერეს – ამ ყველაფრის მიზანი არ ყოფილა მოსწავლის სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. მიზანი იყო სტატუსის ამაღლება იმიტომ, რომ დანამატი აეღოთ. ამ ტრენინგებიდან ტრანსფერი გაკვეთილზე არ განხორციელდა. ასევე, მათ მიერ ჩატარებული პედაგოგიური კვლევები არავის გამოუყენებია. ყველაფერი ფორმალური ხასიათი უქონდა – აიტვირთა და დაკვირვებას მიეცა. მიზანი უნდა იყოს მოსწავლე. ნებისმიერი ტრენინგი თუ მასწავლებლის აქტივობა, მიმართული უნდა იყოს იმაზე, თუ რას მოუტანს მოსწავლეს და არა მასწავლე-



ბელს. მასწავლებლებს გაკვეთილებზე რომ დაესწროთ, იშვიათი გამოწკრიპის გარდა, არავითარი სხვაობა არ არის – მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებში არ ჩანს, რომ სტატუსს გაკვეთილზე რაიმე განსხვავებული შემოაქვს.

**– მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ კარგი იქნება თუ დამკვიდრდება კლასიდან კლასში მოსწავლის გადასაცემი გამოცდები, რომელიც, ამავე დროს, მოსწავლეების შედეგებით, მასწავლებლის კომპეტენციას დაადასტურებს**

– ჩემი აზრით, მოსწავლეები უნდა შეეჩვიონ გამოცდაზე ცოდნის დადასტურებას, მაგრამ ბევრი გამოცდის წინააღმდეგი ვარ. მომხრე ვარ, საშუალო საფეხურის დამამთავრებელი გამოცდების და საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე გადასაცემი გამოცდების ჩატარების, ასევე, შესაძლებელია გარკვეულ კლასებშიც, მაგრამ ეს გამოცდები უნდა ჩაატაროს, მაგალითად, გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, რომ იყოს ობიექტური.

მასწავლებლის შეფასება პირდაპირ უნდა იყოს მიბმული მოსწავლის შედეგზე. ეს ყველაზე რთული პროცესია.

**– დაბოლოს, რამდენად მოგწონთ და რა შეცვალა „ახალი სკოლის მოდელი“?**

– არსებობს დოკუმენტი „ახალი სკოლის მოდელი 2021“. საუბარია, რომ ეს არის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) დაწერვა. სამოქმედო გეგმა განერილია ზოგადად, მაგ., აქტივობა 1. კომპლექსური დავალების კლასში განხორციელება.

კონკრეტული ინფორმაციის მოძიება კი – რამდენი კომპლექსური უნდა ჩატარდეს საგანში, ყველა კომპლექსური უნდა შეფასდეს თუ არა წერილობითი განმავითარებელი კომენტარით, შესაძლებელია ქოუჩებისგან, მასწავლებლებისგან... და ეს ინფორმაცია სხვადასხვა ტრენინგისგან არის სხვადასხვა.

როგორც გავარკვევთ, თუ საგანს აქვს, საშუალოდ, 4 ცნება და თითოეულ ცნებას აქვს 5-7 და, ზოგ შემთხვევაში, უფრო მეტი მკვიდრი წარმოდგენა, მასწავლებელმა თითოეული თემის ფარგლებში უნდა დაფაროს ყველა ცნება, თავისი მკვიდრი წარმოდგენებით თითოეულ ცნებაზე (შეიძლება ერთ ცნებაზეც იყოს დავალება, შეიძლება 2-ზეც, დამოკიდებულია საგანზე).

თუ გვაქვს საგანში 4 თემა და 4 ცნება, ეს ნიშნავს წელიწადში 16 კომპლექსურ დავალებას. მაგ. ერთ კლასზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში წელიწადში გამოდის 20 დავალება.

გვაქვს კვირაში 2-საათიანი საგნები (წელიწადში – 70სთ), ამ შემთხვევაში, მასწავლებელი, მინიმუმ, 9 კლასში შედის და, მინიმუმ, 225 მოსწავლეს ასწავლის. სასწავლო წლის მანძილზე, ამაზღვებს, მაგ. 9-10 დავალებას და ამონებს 2000-2250 ნაშრომს, აკეთებს განმავითარებელ კომენტარს სოლო ტაქსონომიით.

თუ კვირაში 5-საათიანი საგანია, მაშინ მასწავლებელი, მინიმუმ, 4 კლასში შედის და 100 მოსწავლეს ასწავლის. სასწავლო წლის მანძილზე, 2000 ნაშრომს ასწორებს, აკეთებს განმავითარებელ კომენტარს სოლო ტაქსონომიით. განმავითარებელი კომენტარი ამ ეტაპზე არსად არ იტვირთება, სანამ ელექტრონული უფრნალი სავალდებულო არ გახდება.

მთელი სასწავლო პროცესი კი დაგვემთავრა ამგვარად: სვლა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორე კომპლექსურამდე (ამ დავალების კეთებაში, გზადგავა, თან იქნეს ახალ ცოდნას ახალი საკითხების შემოტანით. ზოგი კომპლექსური შეიძლება 3 გაკვეთილზეც გაკეთდეს, ზოგს შეიძლება 5-6 გაკვეთილი დასჭირდეს). ამ ეტაპზე, როგორც ტრენინგ/ქოუჩები ეუბნებიან მასწავლებლებს, საკმარისია მხოლოდ ერთ კლასში დაგვემთავრა და ჩაატარონ ერთი კომპლექსური დავალება.

ვაქტია – უკვე რამდენიმე თვეა, მასწავლებლებს უტარებენ ტრენინგებს, კვირაში 3-ჯერ, 2-2 საათი და ჯერ კომპლექსური დავალების შექმნას ვერ ვასცდენ. არადა განმავითარებელი შეფასების წარმოება, კურიკულუმის შექმნა, განვითარება, თემატური მატრიცები კიდევ სასწავლო აქტუ. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ „ახალი სკოლის მოდელის“ მატრიცა ხშირად იცვლება.

ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 600 სკოლამდეა ამ ახალ მოდელში ჩართული და მათ თითქმის ყოველდღე უტარდებთ 2-საათიანი ტრენინგები, მასწავლებლები მაინც გაურკვეველობაში არიან. შეინიშნება ინფორმაციის ნაკლებობა. ვერ ხედავენ მთლიან სურათს.

ჯერ „ახალი სკოლის მოდელს“ არაფერი შეუცვლია, მესამე წელია მიმდინარეობს. განათლებაში პირველად შედეგი რომ დაინახო, მინიმუმ, 6 წელი მაინცაა საჭირო. რაც მთავარია, ეს მოდელი უნდა იყოს მარტივი, მოქნილი, მასწავლებლისგან არ უნდა ითხოვდეს ბევრ დროს.

# უფროსად, მოუსმინეთ შვილებს, ანუ თინეიჯერების თვალთ დანახული პანდემია

თინეიჯერობის პერიოდი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომხიბვლელია თავისი აქტიური ცხოვრების სტილით, ინტერესთა მრავალფეროვნებით, სამყაროს ფერადოვანი აღქმით, ამ პერიოდს მაინც ახლავს მცირე უსიამოვნებანი, რომლებიც გარკვეულ ასაკამდე მომეტებული მგრძობლობით აღიქმება. კორონავირუსის დაავადებამ (COVID-19) კი კიდევ უფრო გაამძაფრა მოზარდთა განცდები. ბევრმა მათგანმა დაკარგა თინეიჯერულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მომენტების განცდის შესაძლებლობა, ყოველდღიური სასიამოვნო მომენტები, როგორცაა: მეგობრებთან საუბარი, ათასგვარი ღონისძიებები, დაბადების ცენტრებში გართობა, თუნდაც, შეყვარებულთან შეხვედრა, პარკში გასეირნება, თეატრში, კინოში სიარული, სტადიონზე საყვარელი გუნდის თამაშის ნახვის შესაძლებლობა და ა.შ. რაც შეეხება განათლების სისტემას, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი რეგულაცია არ არსებობს, სასწავლო დანებებულებები ჯანდაცვის ადგილობრივი სიტუაციის მიხედვით გაცემულ რეკომენდაციებზე დაფუძნებით იხსნება. სწავლა საქართველოში ზოგან ფიზიკური დასწრებით, ზოგან ნეტოვით შეზღუდვებით ონლაინ მიმდინარეობს, ბევრი კი უპირატესობას შერეულ მეთოდს ანიჭებს. ყოველივე ეს ვნებს აკადემიურ პროგრესს, სოციალურ და ემოციურ განვითარებას, ფსიქიკურ ჯანმრთელობას. ამან კი გამოიწვია თინეიჯერებში ბრაზი, წუწუნა, სიჯიუტე, უძილობა, მოწყენილობა, რაც სავსებით ნორმალური რეაქციაა. დაძაბულობის ხანგრძლივი პერიოდი და იძულებითი სახლში დარჩენა ადვილი არ იყო, ამას თან ერთვოდა ის ფაქტიც, რომ პანდემიის დაწყებისთანავე, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, რისკ-ჯგუფად ჩაითვალნენ ხანდაზმულები და ხშირად აცხადებდნენ, რომ შეიძლება სწორედ თინეიჯერები ყოფილიყვნენ უსიმპტომო ვირუსის მატარებლები და ამით საფრთხეს შეუქმნიდნენ მათ გარშემო მყოფთ. შედეგად კი მივიღეთ ბავშვების ჩვეული ცხოვრების რიტმის დარღვევა:

- ✓ ფიზიკური სიმპტომები (თავის ტკივილი);
- ✓ ძილის/მადის დარღვევა;
- ✓ ლეღვა, ენერჯის დაქვეითება, აპათია;
- ✓ თანატოლებისგან და საყვარელი ადამიანებისგან იზოლირება;
- ✓ შფოთვა/ლეღვა სტიგმის და უსამართლობის გამო;
- ✓ ონლაინ გაკვეთილებზე დასწრების თავის არიდება.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოზარდებს გაუჩნდათ შიში „უხილავ მტერთან ბრძოლისა“.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმტი, სადაც წარმატებებიც გვაქვს და გამოწვევებიც – სკოლაა.

მოგესხენებათ, მეგობრობათ, მეგობრობათ ადამიანებთან ურთიერთობამ ონლაინ ჩატებას და ვიდეო ზარებში გადაინაცვლა. იმის გამო, რომ მოზარდები, ბოლო თვეების განმავლობაში, უფროსებთან ერთად, კორონავირუსის შესახებ ინფორმაციის ძალაუბრები მსმენელები გახდნენ, პანდემიამ გავლენა იქონია მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზეც. მშობლებს ხშირად ვირუსთან დაკავშირებული შეკითხვებით მიმართავენ, თემატიკა გადმოიტანეს საშინაო დავალებებსა თუ ჩანახატებში. რა კვალი დატოვა კორონავირუსმა მოზარდებზე და რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამ გამოცდილებიდან? თვალის მივადევნოთ მათ მიერ შეფასებულ „პანდემიურ ამინდს“.

„პანდემიამ ძალიან დამგრუზა“; „კარანტინი მხოლოდ ორი კვირა იყო სასიამოვნო. ერთადერთი, რაც მან შემძინა, მხედველობის დაქვეითება (კომპიუტერის გამო) და მუდმივი თავის ტკივილებია“; „პანდემიამ გამასუქა, მესამე სართულზე ამოსვლისას ვიღლები“... „აპოკალიფსი, სიტყვა, რომელიც ბოლო ხანებში განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს ჩემს გონებაში და მიზნებისაკენ სწრაფვას მიქვეითებს“; „ამომადლო რეჟიმებიდან, გადავეჩვიე მუდ-

მივ სამუშაოს და გავზარმაციდი“, „პანდემიამ სიცოცხლე გამიმწარა, მოტივაცია დამიკვიტა“, „ტახტი, სავარდელი, სანოლი, აი ეს იყო ჩემი პანდემიური სიყვარულის სამკუთხედი“... ზოგმა კი პანდემია ერთი სიტყვით ახსნა: „უკომენტაროდ“. მოზარდთა ერთფეროვან პასუხებს თან დაერთო მშობლების მხრიდან უყურადღებობა, რადგან თავად ისინიც აღმოჩნდნენ ურთულეს ფსიქოლოგიურ ნენებში. „მოგცლია ერთი“, „რა დროს ამაზე ფიქრი და დარდი...“, „შენი სადარდებელი ნეტა მე მომცა“... ან „რა კარგი ბავშვი იყავი და როგორ შეიცვალე“, „ერთი-ორი კილოთი ნაკლები რომ იყო, ულამაზესი იქნებოდი“ და მსგავსი. უფროსებს, თითქოს „დაავინყდათ“, რომ მოზარდები არიან კრიტიკულები არსებული საზოგადოებრივი ნორმებისა და ნესების მიმართ, ეჭვით აკვირდებიან გარშემო მოვლენებს და მუდმივად ცდილობენ მათ გადაფასებას: „ამ ვირუსზე სულ ერთმანეთის საპირისპიროს ვკითხულობ და ვერ გავიგე, რომელს დავუჯერო?“, „დაუსრულებლად ასე ხომ ვერ გავრძელებ?“; „წავიკითხე, რომ სადაც ვაქცინის დამუშავების პროცესი შეწყდა, რატომ? რა მოხდა?“; „რატომ უნდა ვატარო მუდმივად ნიღაბი?“; „რა საჭიროა დისტანციის დაცვა?“.

დიახ, მოზარდებს აქვთ შეკითხვები. მათ კომუნიკაცია სჭირდებათ.

ისინი უფროსებისგან მეტ ყურადღებას ითხოვენ. ისინი მსჯელობენ, გამოაქვთ დასკვნები, ესმით, რაც ხდება.

გთავაზობთ ამონარიდებს მოსწავლეთა ნაწერებიდან, რადგან ყველაზე ნათლად სწორედ მათ ნამუშევრებში ჩანს მათი განცდები.

„მე საზოგადოების იმ ნაწილს მივეკუთვნები, რომლისთვის ურთიერთობები მნიშვნელოვანია და დისტანციურ სწავლებას სკოლაში სიარული ურჩევნია, თუმცა მიუხედავად ჩემი მოსაზრებისა, უნდა ვალიარო, რომ დისტანციური სწავლება საკმაოდ ეფექტურია. სწავლების ორივე მეთოდს გააჩნია საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარე. დღესდღეობით საქართველოში არსებული ვითარება ბავშვებისგან სახლში ჯდომასა და დისტანციურად მეცადინეობას მოითხოვს, რათა არ შეწყდეს ცოდნის მიღების პროცესი და ვირუსის გამო ბავშვები არ დაზარალებდნენ“ (ქეთევანი).

„დიახ, მეტი თავისუფლება გავქვს. ვესწრებით ყველა გაკვეთილს, ვმეცადინეობთ, თუმცა არ გავქვს ადამიანებთან კონტაქტი. ზოგიერთი ადამიანისათვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ზოგს ურჩევნია მთელი დღე სახლში ჯდომა, არაფერს აწუხებს და ისიც თავის საქმეს მშვიდად აკეთებს. უამრავი მაგალითია იმისა, რომ მთავარი მონღომება და მიზანდასახულობის შემთხვევაში ონლაინ სწავლებასაც „გადაიტანს კაცი“. ჩემი აზრით, სკოლა არ გაძლევს მხოლოდ და მხოლოდ განათლებას. ბავშვების უმრავლესობისათვის ეს ის ადგილია, სადაც უამრავი მოგონება აკავშირებთ. ადგილი, სადაც უახლოესი მეგობრები გაიცნენ, მასწავლებლები შეიყვარეს და დააფასეს“ (ვასიკო).

„სიმართლე რომ ვთქვა, ეს ონლაინ სკოლა საკმაოდ საინტერესო გამოცდილებაა. მაგრამ ეგ მაინც სკოლაა და როგორც ყველა სკოლაში, მასწავლებლები იყოფიან გარკვეულ ტიპებად, მაგალითად:

პირველი ტიპი: „ცუდი სმენის მქონეები“. რომლებიც ისე ძლიერად ყვირიან, რომ ყურსასმენიც რომ გექეთოს, მათი ხმა მაინც ესმის მოპირდაპირე კორპუსს. ხოლო მათ გაკვეთილზე, შენი ყურის ბარაბანი მზადაა, რომ გასკდეს. მეორე ტიპი: რომლებიც საერთოდ ვერ ერკვევიან „სქულბუქსა“ და ელექტრონიკაში ზოგადად. საკმარისია რამდენიმე მაინც გაქედოს ან ძალიან უმნიშვნელო რამ მოხდეს... მანის არაა, რამე აუხსნა ან რამეთი მაინც დაეხმარო. არ მოვისმენენ უბრალოდ.

მესამე ტიპი: რომლებიც აზრზე არიან, თუ რა არის ინ-

ტერნეტი. დიახ, ასეთებიც არსებობენ.

მეოთხე ტიპი: რომლის გაკვეთილებზე არ შედიან.

მეხუთე ტიპი: რომლებიც გვემუქრებიან ნიშნებით, რომლებიც არ ინერება და ასევე ამბობენ, რომ ყველაფერი, ყოველთვის და ყველა ვარიანტში უნდა იხსნავო, მიუხედავად იმისა, ინერება ნიშნები თუ არა. ოდნავ სასაცილო კი არის ეგ ფრაზა, მაგრამ მათ მაინც აქვთ ერთი რამ საერთო. ყველას სურს, რომ ბავშვებმა ჩართონ კამერები. ვერ იპოვი მასწავლებელს, რომელსაც ერთხელაც კი არ უთქვამს „ჩართეთ კამერები“ ან „ხმა კი მესმის, მაგრამ დამანახე შენი (ლამაზი ან საყვარელი) სახე“! ყველა მასწავლებელს სურს, რომ დაინახოს აჩრჩილი, ახალი ვალვიძებული, ოდნავ გაბრაზებული, აზრზე რომ არ არის, თუ რა ხდება, ისეთი გამომეტყველების მქონე 25 ბავშვის სახე. შეგვეშვით რა. მე პირადად არ ვრთავ კამერას, რადგან როდესაც ვრთავ, ეგრევე ყველაფერი იწყებს ჭედვას. ინტერნეტის ბრალი ეგ არაა. ზუმში არ მიჭედავდა არაფერი. სქულბუქის სულ დაზიანებული სერვერები ეგ საერთოდ ცალკე თემაა, სერიოზულად, ისეთი შეგძნებაა თითქოს ყოველ მეორეს შეუძლია ეგ საიტი გატეხოს“ (კატო).

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი მოსწავლე გაღიზიანებას არ მალავს. დიახ, ყველაზე მეტად თინეიჯერების ფსიქიკა დააზიანა პანდემიამ, რადგან მოზარდობის ხანის პრობლემებს პანდემიური პრობლემებიც დაემატა. მოგესხენებათ, მოზარდობის ასაკის პრობლემები დაკავშირებულია სამ ძირითად ასპექტთან – ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ეგზისტენციალურ-ფილოსოფიური.

ფიზიოლოგიურ დონეზე ამ პერიოდში მიმდინარეობს ინტენსიური ჰორმონალური პროცესები, იცვლება სხეული, ხმა, ხდება სქესობრივი მომწიფება. მოზარდი იყურება სარკეში და ხედავს შეცვლილ სხეულს, რომელსაც თავიდან ვერ ეგუება, არ მოსწონს, ეშინია. იგი ხედავს, რომ ბავშვი აღარ არის, თუმცა გარშემომყოფები მას ჯერ უფროსად ეგ არ აღიქვამენ.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი კი, პირველ რიგში, სოციალიზაციას გულისხმობს. სოციალური გამოცდილების შექმნით, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებით, საკუთარი პოზიციის გამოხატვით, სხვებთან დაპირისპირებით, დამოუკიდებლობის გამოვლენით, საკუთარი თავის „შემომწიფებით“, შემდგომი საქმიანობის პერსპექტივების დასახვით ბავშვი ზრდასრულ პიროვნებად ყალიბდება.

მოსწავლეთა ნაშრომების განხილვის შედეგად თავი იჩინა შემდეგმა პრობლემამ:

➔ **სკოლაში ადაპტაციის პრობლემა** (ქცევითი ან ემოციური პრობლემები. როგორცაა: დეზორგანიზებული ქცევა (ხმაალა ლაპარაკი, სიარული საგაკვეთილო პროცესის დროს), მოუსვენრობა და შფოთვა, იმპულსურობა, ადვილად გაღიზიანება ან გაბრაზება.

➔ **კომუნიკაციის პრობლემები** (აგრესიული ქცევა, ჩაკეტილობა, დაქვეითებული გუნება-განწყობა).

➔ **მოზარდობის ასაკისთვის დამახასიათებელი სირთულეები** – მელანქოლიური გუნება-განწყობა, იმპულსურობის ზრდა, დევიაციური ქცევა (საზოგადოების მიერ მიღებული სამართლებრივი, კულტურული და მორალური ნორმებიდან გადახრილი ქცევა), ფსიქოსომატური პრობლემები.

➔ **ყურადღების ნაკლებობის პრობლემა** – მშობლის/მეურვის მხრიდან ყურადღების ნაკლებობის პრობლემას ძალიან ხშირად ვხვდებით. დატვირთული რეჟიმის და სამსახურის გამო, ძალიან ხშირად, შეილება ყურადღების მიღმა გვრჩებიან, რაც დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, გუნება-განწყობასა და კომუნიკაციაზე.

➔ **ბავშვის ზედმეტი დატვირთულობის პრობლემა** (ხშირად, მშობლები ვერ აცნობიერებენ, თუ რამდენად დატვირთული ჰყავთ შვილები და დატვირთულობა ზიანს აყენებს ბავშვს. მათ თამაშის დროც კი არ რჩებათ და განიცდიან სოციალური ურთიერთობების ნაკლებობას).

ასე რომ, მშობლებო, თუ თქვენი შვილი თინეიჯერია, ესაუბრეთ მათთვის საინტერესო თემაზე: სპორტზე, მუსიკაზე, გამოჩენილ ადამიანებზე, მეგობრებზე, გასეირნეთ გარეთ ან სახლის გარშემო; ერთად ივარჯიშეთ საყვარელი მუსიკის თანხლებით; გამოართეთ ტელევიზორი და ტელეფონი; უსმინეთ და უყურეთ შვილებს! მთლიანად დაუთმეთ მათ თქვენი ყურადღება. მზარდულად გაატარეთ დრო!

**ერამლო ლანგაპა**  
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგია-ფილოსოფიის დეპარტამენტის სპეციალისტი, ფსიქოლოგი

**ლია გობოხია**  
ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მეტოლოგი

P.S. შემდეგ სტატიაში განვიხილავთ, თუ როგორ იმოქმედა სკოლებში დაბრუნებამ მოზარდებზე და როგორ გაუმკლავდეთ პანდემიურ სიზარმაცეს, რადგან ისინი ახალ წინააღმდეგობას წააწყდნენ, კერძოდ, ძალიან მკაცრ ჩარჩოში მოექცნენ და უფრო მეტი სტრესი განიცადეს, ვიდრე სახლში ყოფნის დროს.



საგანმანათლებლო ლიდერი

# დირექტორი სახელმწიფოებრივი აზროვნების, პრინციპულობის, თავისუფლებისთვის ბრძოლის მაგალითი უნდა იყოს



შორენა ნიშნანი  
მარნეულის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

რთულია, როცა ოჯახურ ძალადობას ვაწყდები. ძნელია შვილების დაცვა მოძალადეებისგან. მშობლების იძულებით ნადრევი ქორწინების მცდელობები მეტწილად შევჩერეთ. ღამით გამოუგზავნია გოგონას ხმოვანი შეტყობინება და უთხოვია შეველა, იყო ასეთი მომენტებიც და 112 გამოგვიძახებია.

დირექტორობის პირველ წლებში საქმროებს, სადედამთილოებს და მშობლებს სათითაოდ ვუხსნიდი, რომ სახელმწიფო არასრულწლოვანს დაიცავს ოჯახის წევრებისგანაც.

მქონია მარცხიც, როცა გადაუჭრელ პრობლემასთან მარტო დავრჩი. პოლიცია, სოციალური სამსახური, სახალხო დამცველი, ბავშვთა უფლების დაცვის ორგანიზაციებიც რომ ვერაფერს გახდნენ. არის კანონმდებლობაში საკითხები, სადაც მეტი სიმკაცრეა საჭირო მშობლების მიმართ, როცა ოჯახური გარემო ბავშვის განვითარებას ხელს არ უწყობს.

ყველაზე კარგად ბავშვებთან ურთიერთობა გამომდის. მათში თავისუფლების ნაპერწკლების ანთება და იმ ძალის ფორმირება, რაც მოსწავლეებს ძლიერ პიროვნებად ზრდის.

ძალიან მიყვარს გაკვეთილების ჩატარება.

**სკოლის დირექტორი – რას მოითხოვს მისგან სახელმწიფო, საზოგადოება**

სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის მიხედვით, უნდა იყოს საგანმანათლებლო ლიდერი და საზოგადოება უნდა უკვეთავდეს მას ქვეყნის მომავალი თაობის ჩამოყალიბებას. რა გვაქვს რეალობაში? საჯარო სკოლის დირექტორი დღეს არის ყველაზე მოწყვლადი თანამდებობის პირი განათლების სისტემაში, რომელიც ადვილად შეგვიძლია გავწიროთ, დავადანაშაულოთ, გავათავისუფლოთ, დავსაჯოთ.

რას გვიკვეთავს საზოგადოება? მშობლების 90% მხოლოდ ამ კითხვას მისვამს: „რა ნიშნები ჰყავს ჩემს შვილს. დაუნერეთ მაღალი ნიშანი. ყველა საგანში თუ ათი ჰყავს, დაუმატეთ ნიშნები იმ ერთშიც.“ დაახლოებით ეს რეალობაა.

**დირექტორი – საგანმანათლებლო ლიდერი**

სკოლის დირექტორთა სერტიფიცირებამ აჩვენა თუ რა სირთულეა ლიდერთა მიმართულებით. მარნეულის მუნიციპალიტეტში 74 საჯარო სკოლაა და მხოლოდ 14 სერტიფიცირებული დირექტორი ჰყავდა სკოლებს.

ზოგადად, კარგი მენეჯერი შეიძლება იყო, მაგრამ სასკოლო თემის ლიდერობა ნამდვილად მოითხოვს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხების სათანადო ცოდნას.

**სკოლის ხარისხის მართვა**

ხარისხის მართვას ჩემთვის მასწავლებლის დისციპლინა იწყებს და პასუხისმგებლობების გადანაწილების პროცესი. მიმართულების მიცემა დირექტორის მოვალეობაა, რა თქმა უნდა, მაგრამ კარგი მართვა ნიშნავს შიდა ლიდერებზე საქმეების სწორ გადანაწილებას. ჩემზე და მასწავლებლებზე უკეთეს ღონისძიებას ატარებს ჩვენი სკოლის თვითმმართველობა, იურისტებს ტოლს არ უდებენ კანონმდებლობის ცოდნასა და შესრულებაში დისციპლინური კომიტეტის წევრები.

გული მწყდება სამეურვეო საბჭოს სუსტ ფუნქციონირებაზე. მშობლებს არ აქვთ დიდი სურვილი რეალური მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში. პატივისცემით უფრო გვერთვებიან, ვიდრე მოტივაციით.

სკოლა ცოცხალი ორგანიზმია, პრობლემები იცვლება, წყდება, ახალი ჩნდება.

დღემდე მიჭირს სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობისას მივადებინო მათი შვილების რეალობა. ზოგჯერ მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ ბავშვის შეფასებას სოციალური სამსახურის დახმარებით ვაღწევ.

**როგორ აისახება კონკრეტული სკოლის სასწავლო მოდელი კონკრეტული მოსწავლეების შედეგებზე**

ჩემი ბავშვებისთვის სკოლა თავისუფლების სამყაროა და ფერადი სივრცე, ადგილი, რომელსაც საზოგადოება ნდობას უცხადებს. მარნეულის რეალობა განსხვავებულია, ჩემი შეფასებით. დიდ დროს ვუთმობთ არაფორმალურ განათლებას, კულტურულ ღონისძიებებს, რადგან ვთვლით, რომ ტრადიციულ გაკვეთილებზე მეტს აძლევს ეს აქტივობები მოზარდს.

ბავშვებს ვეუბნები: აჰა, ფუნჯი და საღებავი, რაც გინდათ დახატეთ სკოლის კედლებზე. ჩვენი ძველი, პატარა სკოლის კედლები და კიბეები სულ მოხატულია.

მაღალ ნიშნებს ისე არ გაუხარებია ბავშვები, როგორც ეზოში გამართულმა თავისუფალმა ცეკვებმა გააბედნიერა ისინი.

**დღევანდელი სკოლის მთავარი მისია და გამოწვევა**

საჯარო სკოლის ლიდერები სანამ არ იქნებიან თავისუფალი, ძლიერი და აღიარებული ადამიანები განათლების სისტემაში, სკოლა ცხოვრების გამონევევებს ვერ უპასუხებს, რადგან მოწყვლადი დირექტორი ვერ შექმნის თავისუფალ გარემოს და დამფრთხალი მასწავლებლები როგორ შექმნიან ძლიერი ქვეყნის მომავალს სასკოლო სივრცეში?

**რა ფაქტორებია აუცილებელი წარმატებული სკოლისთვის**

თავისუფალი სივრცე, დამოუკიდებელი ლიდერი, უსაფრთხო სასწავლო გარემო, სრული ადაპტირება.

**გუნდური მუშაობის როლი**

სსიპ ქალაქ მარნეულის №2 საჯარო სკოლა მულტიეთნიკური თემისგან შედგება. ამჟამად სკოლაში 1304 მოსწავლეა, რომელთაგან 46% სწავლობს ქართულ, ხოლო 54% არაქართულენოვან სექტორზე. სკოლაში დასაქმებულია 81 პედაგოგი (მათ შორის 2 სპეციალური მასწავლებელი) და 11 ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი.

2015 წელს, როდესაც სკოლის დირექტორი გავხდი, სკოლაში ერთადერთი სერტიფიცირებული მასწავლებელი იყო. სკოლის მასწავლებლები აქტიურად ჩაერთნენ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლის ბაზაზე დაიწყო მასწავლებლების მომზადება

სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის. ამასთანავე, სკოლაში შეიქმნა სქემაში ჩართულ მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი. პედაგოგიურმა საბჭომ შეარჩია ფასილიტატორები, რომლებიც დიდი წარმატებით მუშაობდნენ მასწავლებლებთან. 2016 წლის დასაწყისისთვის სკოლის ქართული სექტორის მასწავლებლების თითქმის 100%-მა წარმატებით ჩააბარა საგნის გამოცდები. პარალელურად, სქემით დაინტერესდნენ არაქართულენოვანი სექტორის მასწავლებლებიც, რომლებმაც ასევე წარმატებით ჩააბარეს საგნის გამოცდები. მათმა უმრავლესობამ ქართულ ენაზე შეძლო პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარება, რაც საკმაოდ დიდი მიღწევაა.

**რა ხელშეწყობა სჭირდება დღეს სკოლის დირექტორს**

გულწრფელად ვიტყვი, ნამდვილად მაქვს დიდი მხარდაჭერა ყველა სტრუქტურულიდან, ნჯო სექტორიდან, სახალხო დამცველის აპარატიდან, ქალთა და ბავშვთა უფლების დამცველებისგან, ჟურნალისტებისგან, სასკოლო თემისგან.

ეთნიკური უმცირესობის სკოლაში სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირების აქტიური ხელშეწყობა აღიზიანებით გარკვეულ, რუსულ ძალებს, მაგრამ მათ წინააღმდეგობას და დაგებულ მახეებს თავს ვართმევთ.

ჩვენს სკოლას არ აქვს ტიპური სასკოლო შენობა, სპორტდარბაზი, თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია, არის პატარა, ორ ცვლაში, ამ ეტაპზე, ჰიბრიდული სწავლების რეჟიმში. საზოგადოების მოთხოვნა დიდია, მაგრამ არ გვყოფნის საკლასო ოთახები. ალბათ ძალიან დავგვიხარებოდა ოთხსართულიანი, ადაპტირებული, თანამედროვე შენობა, თუმცა დიდ მადლობას ვიტყვი, ვინმე ნახმარ კომპიუტერებს მაინც თუ გვაჩუქებს.

**რა არის ახალი დირექტორების სტანდარტი**

ვფიქრობ, ახალი სტანდარტი მეტ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ამკვიდრებს, მთავარია, ფურცლებზე არ დარჩეს და რეალურად განხორციელდეს.

**სერტიფიცირება – როგორ შეარჩიოს სკოლაში დირექტორი**

დირექტორი, რომელიც სერტიფიცირების გამოცდას ვერ აბარებს, არ უნდა იყოს მოვალეობის შემსრულებელი.

ამ ეტაპზე, მე ვერ ვხედავ, სამეურვეო საბჭო რეალურად განწყვეტილებებს იღებდეს. მასხში, ექვსი წლის წინ, ერთი ხმაც კი ვერ მივიღე, სადაც წარვადგინე გეგმა. გულით მითხრეს, დაგნიშნონ და მივიღებთ, ჩვენ ვერ გავუშვებთ მოქმედ დირექტორს, მერე რა, რომ გამოცდა ვერ ჩააბარაო. სამეურვეო საბჭოს ერჩივნა, გადაწყვეტილება არ მიეღო.

ამიტომაც მინისტრის ბრძანებით დავინიშნე.

**რას დაამატებდით**

„მიდექ-მოდექი“, „წყნარად იყავი“, „პრობლემას ნუ ქმნი“ – ეს პოლიტიკაა დამკვიდრებული, სამწუხაროდ.

ძალიან ბევრი ძლიერი და კარგი მენეჯერი დირექტორი გვყავს. უამრავ პროექტს, საოცარ პროგრამებს ახორციელებენ, თუმცა გაბედულება აკლიათ.

მორჩილი დირექტორი, დამფრთხალი და მოწყვლადი ვერ მოგვეცემს ისეთ განათლების სისტემას, როგორც ახლა ვოცნებობთ.

სახელმწიფოებრივი აზროვნების, პრინციპულობის, თავისუფლებისთვის ბრძოლის მაგალითი უნდა იყოს დირექტორი სასკოლო თემისთვის.

ჩემი აზრით, ეს გამოგჩათ ☺

სწავლის მეთოდი

# პარალელური გზების საზოგადოებრივი დონეებისა და სოლო ტექსტურობის შორის

ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლაში, მასწავლებელთა IV რაიონულ სასწავლო-მეთოდურ კონფერენციაზე – „ნარმატული პედაგოგიური პრაქტიკა“, პედაგოგებს გაეცანი ჩემ მიერ შექმნილი სასწავლო რესურსი „კუბი, საზოგადოებრივი დონეების მეთოდი“. სკოლაში მუშაობის დანაწიების დღიდან ვფიქრობდი, როგორ შემეფასებინა მოსწავლის პროგრესი ობიექტურად. შემდგომ, ტექსტურობის საზოგადოებრივი დონეების გაცნობის შედეგად, ეს მეთოდი ჩემს სასკოლო პრაქტიკას მოვარგე – შეფასების სქემა გაეცანი მოსწავლეებს, დაგეგმე გაკვეთილები საზოგადოებრივი დონეების შესაბამისი კითხვარებით.

მასწავლებლობა ხელოვნებაა, რომელსაც დიდი ოსტატობა სჭირდება – ყოველი მეთოდის დანერგვა პედაგოგისგან მოითხოვს როგორც ცოდნას, ასევე ენთუზიაზმსა და დიდ შრომას.

**ბლუმის ტექსტურობის მეთოდი სასწავლო მიზნების სწავლებისა და სწავლის შედეგების გაზომვის ეფექტური საშუალებაა.**

ტექსტურობის საზოგადოებრივი დონეების მიხედვით შედგენილი კითხვებისა და შესაბამისი ტიპური ზმნების გამოყენებით, პედაგოგი აფასებს სწავლა-სწავლების ეფექტურობასა და ესგ-ს მიღწევის დონეს. ასევე მიმაჩნია, რომ ამ რესურსის გამოყენება შეიძლება დიფერენცირებული სწავლებისას, იგი პასუხობს მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნებს. ამ რესურსით შეიძლება შევფასოთ კომპლექსური დავალება და დავადგინოთ, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას. **სოლო ტექსტურობისა და საზოგადოებრივი დონეების შესაბამისად, მოსწავლე შეიძლება შევფასოთ როგორც განმსაზღვრელი შეფასებით, ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეფასდეს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებისთვის, განმავითარებელი კომენტარით.**

ვფიქრობ, საზოგადოებრივი დონეების მიხედვით მოსწავლეთა პროგრესი თვალსაჩინოა, ასევე, შეფასებაც არ არის რთული. შესაბამისობა სოლო ტექსტურობისა და საზოგადოებრივი დონეების შორის და მისი გამოყენება მასწავლებლის შემოქმედებით უნარზე დამოკიდებული, რამდენად შესწავს უნარი, საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი და მოსწავლე ცოდნის სამყაროს აზიაროს. თითოეული ნაბიჯი, საზოგადოებრივი დონეების შესაბამისად, მიმართულია მარტივიდან რთული აზროვნებისკენ.

**სწავლების პროცესი ხომ თანამშრომლობაა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში.**

### სოლო ტექსტურობის ხუთი დონე:

⇒ **პრესტრუქტურული დონე** – მოსწავლეს არ ესმის ინფორმაცია, ამიტომ ვერ ახერხებს გაგებას. ამ დონეზე არაფერია ცნობილი დავალების შესახებ;

**შეესაბამება: ტექსტურობის I დონეს – ცოდნის დონეს.**

⇒ **უნისტრუქტურული დონე** – მოსწავლეს, ამ დონეზე, აქვს მხოლოდ ძირითადი კონცეფცია საგნის ან დავალების შესახებ; მას შეუძლია მარტივი და აშკარა კავშირის დამყარება, მაგრამ ინფორმაციის ფართო მნიშვნელობა არ არის გაგებულა;

**შეესაბამება: ტექსტურობის II დონეს – გაგების დონეს.**

⇒ **მულტისტრუქტურული დონე** – მოსწავლეს, ამ დონეზე, შეუძლია გააცნობიეროს საგნის ან დავალების რამდენიმე ასპექტი, მაგრამ თემის გარშემო იდეებსა და ცნებებს არ აქვთ ურთიერთკავშირი. მოსწავლეს შეუძლია მთელი რიგი კავშირების დამყარება, კლასიფიცირება, მაგრამ მთლიანობის მნიშვნელობა არ არის გასაგები. ცნობილია რამდენიმე შესაბამისი დამოუკიდებელი ასპექტი. მოსწავლეს შეუძლია ჩამოთვალოს, განსაზღვროს, აღწეროს, დააკავშიროს, შეუსაბამოს ან გააკეთოს ალგორითმები. ამ დონის შეფასება, პირველ რიგში, რაოდენობრივია.

**შეესაბამება: III დონეს – გამოყენების დონეს.**



⇒ **მიმართებადი დონე** – მოსწავლეს ამ დონეზე შეუძლია გააცნობიეროს ნაწილების მნიშვნელობა მთლიანთან მიმართებაში. იდეები და კონცეფციები უკავშირდება ერთმანეთს და ისინი ქმნიან მთლიანობის თანმიმდევრულ გაგებას. მოსწავლეთა სწავლის შედეგები აჩვენებს შედეგების, მიზეზ-შედეგობრივი აზროვნების, თანმიმდევრულობის, ანალიზის, მთლიანი აზროვნების, ანალიზის, გამოყენებისა და კითხვების ფორმულირების მტკიცებულებებს. ეს ის დონეა, რომელიც საგნის ადეკვატურ გაგებას გულისხმობს.

**შეესაბამება: IV და V დონეებს – ანალიზისა და სინთეზის დონეებს.**

⇒ **გაფართოებული აბსტრაქტული** – ამ დონეზე მოსწავლეს შეუძლია შეასრულოს კავშირები არა მარტო მოცემულ საგნობრივ ქრილში, არამედ ასევე შეუძლია კავშირი დამყაროს მის მიღმა. მას შეუძლია განაზოგადოს და გადაიტანოს პრინციპები და კონცეფციები ახალ განსხვავებულ კონტექსტში; შექმნას ახალი იდეები და კონცეფციები, იდეების გადატანა ახალ სფეროში, შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება, შეფასება, თეორიზაცია, ჰიპოთეზირება, მოდელის ან ელექტრონული რესურსის შექმნა.

**შეესაბამება: VI დონეს – სინთეზის დონეს.**

მეთოდმა – „კუბი, საზოგადოებრივი დონეების მიხედვით“ – პედაგოგების დაინტერესება გამოიწვია და მათ აღნიშნული მეთოდის სასკოლო პრაქტიკაში გამოყენების სურვილი გამოთქვეს.

რესურსის შექმნა, დიფერენცირებული სწავლების დანერგვის დროს, მოსწავლეთა თვითშეფასების უნარის საჭიროებამ განაპირობა, ასევე საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის აუცილებლობამ.

**სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდი, იგივე ხარისხის მეთოდი კარგად უკავშირდება საზოგადოებრივი დონეების მიხედვით მოსწავლეთა ნინსვლას. თითოეულ დონეზე პროგრესს, განმსაზღვრელი შეფასების 10-ქულიანი სისტემა შევუსაბამე.**


### რესურსის გამოყენების ინსტრუქცია

გეომეტრიული ფიგურა კუბი, რომელიც ხისგან არის დამზადებული, გადანომრილია 1-დან 6-მდე.

თაბახის ფურცელზე ვამზადებ თვალსაჩინოებას, რომელზედაც გამოვსახავ ბლუმის ტექსტურობის დონეებს. დონეები განლაგებულია იერარქიულად – მარტივიდან რთულისაკენ.




თვალსაჩინოებას ასევე ახლავს ექვსი ჯიბაკი, გადანომრილი 1-დან 6-მდე, **წარწერით: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება.** დონეების შესაბამისი კითხვები და ამოცანები მოთავსებულია ჯიბაკებში, ასევე შეიძლება ავტვირთოდ საპრეზენტაციო პროგრამაში, კლასების შესაბამისად.



მასწავლებელმა შეიძლება თვალსაჩინოება თემის ახსნის დროს გამოიყენოს, ასევე შეჯამებისას. ჯიბაკებში დონეების მიხედვით კითხვარების განთავსებით, მოსწავლეები, ჯგუფური მუშაობის ან ინდივიდუალური გამოკითხვის დროს, რიგითობის მიხედვით, ავადებენ კუბს და შესაბამისი კითხვარს იღებენ ჯიბაკიდან შესაბამისი ნომრით ან კითხვარს სლაიდის შესაბამისი ნომრის კითხვარს; ასევე, მასალას ეცნობიან სლაიდზე, სწორი პასუხები კი შეფასებულია ბლუმის საზოგადოებრივი დონეების მიხედვით, შემდეგი ქულით: ცოდნა ფასდება მაქსიმალური 5 ქულით, გაგება (შინაარსი) – 6, გამოყენება – 7, ანალიზი – 8, შეფასება – 9 და სინთეზი – 10 ქულით.

ასევე, კუბი შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლის ინდივიდუალური შეფასებისა და თვითშეფასების დროს, მაგალითად, მოსწავლე ავადებს კუბს და აფასებს საკუთარ თავს, ქულას კი ჩანერს როგორც სპეციალურად შედგენილ ცხრილში, ასევე რვეულში. ეს პროცესი გრძელდება 5-10 ან 10-15 წუთი, ვინც მეტ კითხვას უპასუხებს, შესაბამისად, მეტ ქულას და აგროვებს და მიენიჭება ტიტული დღის „ნარმატული“. თუ ამოცანები ვერ ამოსწავს, მასწავლებელი აძლევს მითითებებს და საშინაო დავალებას დამატება მოცემული ამოცანა.

ბლუმის ტექსტურობის მეთოდი სასწავლო მიზნების სწავლებისა და სწავლის შედეგების გაზომვის ეფექტური საშუა-



ლება. განვითარების დონეები განლაგებულია მარტივიდან რთულისაკენ, ყოველ კატეგორიაზე გადასვლა შესაძლებელია წინა კატეგორიის ჩვევების დაუფლების შედეგად. მოდიფიცირების შემთხვევაში, მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნეს დანაწიებით საფეხურზე.

### თითოეულ დონეზე გამოყენებული ზმნები:

**ცოდნა:** ჩამოთვლა, ჩანერა, აღწერე ცდა, მოყოლა, დასახელება.

**გაგება:** დააკავშირე, ახსენი, გაიმეორე ცდა, განმარტე, დამტკიცება, დახარისხება, დაჯგუფება, გამოინარსება.

**გამოყენება:** გამოთვალე, დააკავშირე, ჩვენება, მიგნება, პოვნა, აღმოჩენა, გადამუშავება.

**ანალიზი:** განსხვავე, დაყავი, დაახარისხე, დედუქციის მეთოდის გამოყენება, ანალიზირება, რეზიუმირება, შეპირისპირება, ზოგადიდან კერძო დასკვნების გაკეთება, ვენის დიაგრამა, T სქემა.

**სინთეზი:** შემონემა, დაგეგმვა, მოხაზვა, განვითარება, მიგნება, განზოგადება, ინდუქციის მეთოდი/კერძო დასკვნიდან ზოგადი დასკვნის გაკეთება/, გამოგონება, დანერე პროექტი, ამოსხენი ამოცანა.

**შეფასება:** იმსჯელე, გააკეთე დასკვნა, გააკრიტიკე, დანერე რეცენზია, ამოსხენი ამოცანა, დანერე პროექტი, შეაფასე, დააფინე, შემონემა, გადამონემა, გადაწყვეტილების მიღება.

აღნიშნული რესურსი ინტერაქტიურია და ვიყენებთ თამაშის ფორმით. მოსწავლეები ჩართული არიან, თითოეული საზოგადოებრივი დონის მიხედვით, კითხვების შედგენის პროცესში. ის, ვინც დამლევს უმაღლეს დონეს, დღის „ნარმატული“ ტიტულს იღებს, იმარჯვებს და 10 ქულით ფასდება. შეიძლება, ასევე, გამოვავლინოთ 6-ვე დონეში უმეტესი ქულით გამარჯვებული მოსწავლე. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, იზრდება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია; მოსწავლეები აფასებენ როგორც საკუთარ თავს, ასევე ერთმანეთს, ყალიბდებიან როგორც ექსპერტები, განიმტკიცებენ მიღებულ ცოდნას და გაკვეთილის ახსნის პროცესში, თემის წინასწარი განხილვის შედეგად, ძველ ცოდნაზე აგებენ ახალ ცოდნას, აჯამებენ ნასწავლ მასალას, ადგენენ კითხვებს დონეების შესაბამისად. რესურსი დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული რესურსი მეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებაში. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მთავარი მიზანია, აზიარო მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუვითარო მას კვლევითი უნარ-ჩვევები, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს, შეიცნოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

### მაია ჩხიკვაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბლაძიხის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

კვლევა და სწავლება



შალვა ტუციშვილი

თბილისის №219 საჯარო სკოლის დირექტორი, მათემატიკის მენტორი მასწავლებელი

კომპლექსური დავალება  
ლიბრარებისა და  
პიქტოგრამების  
გამოყენებით

Table with 3 columns: მიმართულება, საშიზნი ცნება, კლასი. მუ-5 დრო: 2 კვირა. Content includes learning objectives and a complex task description.

Table with 2 columns: შუგისხაზი, რეკომენდაციები. Content includes questions about power point and a list of recommended tasks.

სულხან-საბა ორბელიანის ერთი იბავის ანალიზი  
ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების ფონზე

სასწავლო პროცესში კოგნიტიური სქემების ეფექტურობის შესახებ ბევრი რამ დანერგა და ამ საკითხთან დაკავშირებით ახალს ვერაფერს ვიტყვით, თუმცა გვინდა მკითხველის ყურადღება შევანეროთ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმზე, რომლის წარმოდგენა კოგნიტიური სქემის სახით ხელს შეუწყობს ისეთი მალალი საზოგადოებრივი დონების განვითარებას, როგორც ანალიზი და შეფასება.

ბა ორბელიანის იგავი „მოხერხებული არაბი“. ამ ნაწარმოების სიღრმისეული გააზრების გარეშე შეიძლება გამოვჩინოთ მთავარი პერსონაჟის ქცევის მოტივები. ვგულისხმობთ იმ მოვლენას, რომ არაბი შეგნებულად არღვევს სამოქალაქო კანონებს, მეჯდებდა თავის ცხენზე, ვერცხლით სავსე ტომარას გადაჰკიდებს ბედაურს და გააჭენებს. მან ხალიფასა და მის ჯვარს აფიქრებინა, რომ ფულიცა და ცხენიცა გაიტაცა. არაბი არაორდინალურად იქცევა, ის ხედავს, რომ მას მოსდევნენ „კაის ცხენებითა“ და, თუ დაიჭერენ, დასჯა არ ასცდება, არანაირი თავის მართლება არ უშველის. ასე რომ, ის თავს საფრთხეში იგდებს და ამას აკეთებს პრინციპულად.

ბი და ამ დაცინვით ცდილობს საზოგადოების ზნეობრივი სი-მების შერხევას, მის გამოფხიზლებას. საგულისხმოა ისიც, რომ ხალხის შეკითხვას არაბი მხედარი მზამზარეულ პასუხს არ აძლევს. იგი იქით უბრუნებს კითხვას ხალხს: „კარგის პასუხად ვე მექნა, ღმერთი რას მიზამდაო?“ მისი შეკითხვა ადამიანებს ფიქრისათვის, განსჯისათვის განაწყობს.

Table with 2 columns: o, m u m i x a m. Content includes a definition of Minimum and a list of tasks.

მართალია, ბოლოს არაბი უკანვე ბრუნდება და ასახელებს თავისი საქციელის მიზეზს („მორს ვიდექ, საკიდარი არა მყვანდა რა, ვერცხლი მძიმე არის, ვერ ვზიდევდი, წავილე და ახლა ცხენი მომიყვანიაო“), მაგრამ ისმის კითხვა, რამდენად დამაჯერებელი და ამომწურავია მისი ახსნა-განმარტება? თუ არაბის პასუხს დავეყრდნობით, მაშინ ცხადია, ილიასეული კოგნიტიური სქემის მიხედვით, ის დგას სათნოების minimum-ის საფეხურზე, მას ცოდვა არ ჩაუდენია, ცხენი და ვერცხლი არ მოუპარავს. ცხენი გარკვეული მიზნისთვის გამოიყენა და მერე დააბრუნა. მაგრამ პერსონაჟის ამგვარი თავის მართლება ეჭვქვეშ აყენებს ნაწარმოების სათაურს. რატომ, რა კრიტიკიუმის მიხედვით უნდა სულხან-საბა არაბს მოხერხებული? ცხადია, მხედრის ქცევაში იკვეთება უცნაურობის ელემენტები. არაბს შეეძლო თავიდანვე აეხსნა მეფისა და ჯარისკაცებისათვის თავისი პრობლემა. მაგრამ ის ასე არ მოიქცა, პირქით, ყველას აფიქრებინა, რომ მუხთალი, მატყუარა და ყაჩაღია. მან თითქოს მასხრად აიგდო ამდენი ხალხი, შეურაცხყო ხალიფაცა და მისი მხლებლებიც. თუ არაბს დაიჭერდნენ, როგორც სამოქალაქო კანონების დამრღვევსა და ავაზაკს, მკაცრად დასჯიდნენ. ეს სასჯელი იქნებოდა მართლაც სამაგალითო, რადგან მან უპრეცედენტო დანაშაული ჩადინა. რასაკვირველია, მის თავის მართლებას არავინ გაითვალისწინებს. საინტერესოა, რატომ წავიდა არაბი მხედარი ამხელა რისკზე?

სულხან-საბა ორბელიანის არაბი მხედარი გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“ მთავარი პერსონაჟის სულიერი წინაპარია. და, საერთოდ, ცხენზე ამხედრებული რაინდი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახე-სიმბოლოა. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ არაბი არის არა მარტო პატიოსანი, პირმტკიცე, ღვთის მოშიში, არამედ თავისი გონებაგამჭრიახობის, გაბედულებისა და მოხერხებულობის წყალობით, ხალხისათვის თავდადებული გმირია. საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩადგების სანაცვლოდ, საზოგადოების წინაშე ქადაგებს მაღალ იდეალებს. ამიტომ ეს პერსონაჟი, ილიასეული კოგნიტიური სქემის მიხედვით, „მაღლის სამფლობელოს“ მკვიდრია.

ამ სქემის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში თვალსაჩინოს ხდის, სათნოების რომელ საფეხურზე დგანან პერსონაჟები, არიან ისინი უბრალოდ პატიოსნები, კანონმორჩილები, თუ უფრო მაღალი სათნოებების მოხვეჭისაკენ მიისწრაფვიან. ეს სქემა გვეხმარება არა მხოლოდ ცალკეული ნაწარმოების ანალიზისას, არამედ საშუალებას იძლევა, უფრო ფართო მასშტაბით მოვახდინოთ პერსონაჟთა კატეგორიზაცია. მოცემული აზრის ნათელსაყოფად განვიხილოთ სულხან-სა-

არაბს ვერ იჭერენ. მესამე დღეს ხდება საოცარი მოვლენა: მხედარი მოდის და ცხენს აბრუნებს. ყველა გაოგნებულია. მისეული ახსნა-განმარტება უფრო მეტად აოცებს საზოგადოებას და ისინი უნებურად ეკითხებიან: „ვინლა მოგდევდა, ცხენი რადლა მოგყვანდაო?“ აქ, სწორედ ამ შეკითხვაში, დაჭერილია ადამიანთა სულის ფარული ბნელი მხარეები. სულხან-საბა იდეი ფსიქოლოგია. იგი ამიშვლებს საზოგადოების ზნეობრივი დაცემის სურათს. ამ შეკითხვაში სრულიად უგულვებელყოფილია უმაღლესი მსაჯულის პოზიცია, სინდისის ქენჯნის მოტივი.

სრულიად აშკარაა, რომ ზნეობრივი კანონების გარეშე ადამიანების ყოფა მწირი და უბადრუკია. სამოქალაქო კანონები საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფს და არ შეუძლია კაცის გადაადამიანების სამსახურში ჩადგომა, არ ხელენიფება ადამიანთა სულიერი ფერისცვალება და კათარზისი. როგორც ილია იტყვია: „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“. სწორედ ამ მსაჯულს უნდა მოვუსმინოთ.

იკატარინე მხიძი  
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის  
ბრონეულას საჯარო სკოლის ქართული ენისა და  
ლიტერატურის მასწავლებელი

ისტორიის პედაგოგთა დასახარება



**ნაირა მუსავეა**  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის კალინინოს საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

**საბანი:** ისტორია  
**სწავლების საფეხური:** საბაზო, VIII<sup>ბ</sup> კლასი  
**მოსწავლეთა რაოდენობა:** 15  
**სსსმ მოსწავლეთა რაოდენობა:** 0  
**ბაკვეთილის თემა:** II მსოფლიო ომი  
**ბაკვეთილის მიზანი:** შეიძინონ ცოდნა II მსოფლიო ომის შესახებ

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	მასწავლებელი შედის კლასში, ესალმება მოსწავლეებს, აცნობს გაკვეთილის თემას, შეფასების რუბრიკას. მასწავლებელი სვამს კითხვას, როგორი პოლიტიკური მდგომარეობა იყო 1939 წელს მსოფლიოში, საქართველოში? (მოსწავლეები პასუხობენ, იხსენებენ არსებულ ცოდნას)	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	რუკა, წიგნი/ტექსტი, სურათები, მოსაძიებელი (მაგ: ინტერნეტი), შეფასების რუბრიკა	4-5
2	მასწავლებელი აჩვენებს მსოფლიო ომის თემატურ ფოტოებს და სვამს კითხვას: თუ იცინა ეს რომელი ბრძოლებია? შემდეგ დაურიგებს ჯგუფებს ტექსტის სხვადასხვა ნაწილებს და კითხვებს.	კითხვა-პასუხი, ინსტრუქციის მიცემა	ინდივიდუალური, ჯგუფური მუშაობა	ილუსტრაციები, ტექსტი, კითხვები, კლამი	12-14
3	თითოეული ჯგუფის პრეზენტაცია. აჩვენებენ რუკაზე ადგილს, სადაც მიმდინარეობდა ომი. მოსწავლეები სვამენ კითხვებს პრეზენტაციასთან დაკავშირებით.	ვერბალური ახსნა (საჭიროების შემთხვევაში)	ჯგუფური, ინდივიდუალური	რუკა	16-18
4	მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს, ამის შემდეგ მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს შეფასების რუბრიკის მიხედვით.	განმსაზღვრელი შეფასება	ინდივიდუალური, ჯგუფური	შეფასების რუბრიკა	3-4
5	მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას, აღწერონ მათი შთაბეჭდილებები II მსოფლიო ომზე	ინსტრუქციის მიცემა	ინდივიდუალური	რეველი, კლამი, ტექსტი	3-5

**ბაკვეთილის გოგონა მისაღწევი შედეგები (მოსწავლეები შეძლებენ ისაუბრონ II მსოფლიო ომის შესახებ და გაიღრმავონ არსებული ცოდნა):**

- მოსწავლე მსჯელობს კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ ცვლილებებზე, II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდზე, რომელმაც გავლენა მოახდინა ქვეყნებზე. აანალიზებს და ადარებს საგარეო ფაქტორების გავლენას ქვეყნის შიდა კონფლიქტებზე.

**შეფასება:**

	კრიტერიუმი	1-4	5-6	7-8	9-10
1	მოსწავლე ჩართულია პოლიტიკური მდგომარეობის აღწერაში, 1939-1945 წლებში, მსოფლიოსა და საქართველოში.	არ არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში.	ჩართულია, მაგრამ ვერ ავლენს ცოდნას, თუმცა ცდილობს დაასახელოს გარკვეული მოვლენები.	ჩართულია, აქტიურად ავლენს ნაწილობრივ, აღწერს პოლიტიკურ ვითარებას.	სრულად აღწერს პოლიტიკურ ვითარებას, 1939-1945 წლებში, მსოფლიოსა და საქართველოში.
2	შეუძლია II მსოფლიო ომის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის გადმოცემა.	არ იცის ომის შესახებ არაფერი.	ფლობს მწირ ინფორმაციას II მსოფლიო ომზე.	ნაწილობრივ ფლობს ინფორმაციას II მსოფლიო ომის შესახებ.	ასახელებს II მსოფლიო ომის დროინდელ პოლიტიკურ ცვლილებებს, საგარო და საშინაო ვითარებას. აღწერს მიზეზებს.

**ბაკვეთილის რეზიუმე**

ჩემი გაკვეთილის მიზანი იყო, რომ მოსწავლეებს მიეღოთ ინფორმაცია II მსოფლიო ომის შესახებ, შესძლებოდათ მიღებული ინფორმაციის გაანალიზება დროსა და სივრცეში. მოსწავლეებს გაეცანო შეფასების რუბრიკა.

წინარე ცოდნის გასააქტიურებლად მოსწავლეებს დავუხვევინე შეკითხვები განვლილი მასალიდან, აგრეთვე შევეცადე, მათში გამოემენათ ინტერესი.

გაკვეთილის II ფაზაზე, მოსწავლეები დავუხვევინე (სულ სამი ჯგუფი, თითოეულში – 5 მოსწავლე), შევასენე ჯგუფური მუშაობის წესები. ამის შემდეგ მოსწავლეებს დავურიგე ტექსტის სხვადასხვა ნაწილი, ფორმატის ქალაქი, ფლომასტერი, წინასწარ მომზადებული კითხვები ტექსტთან დაკავშირებით. თითოეულმა ჯგუფმა მოამზადა პრეზენტაცია ამ თემაზე, რუკაზე აჩვენეს ქვეყნები, სადაც მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები. ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაჩვენე ფოტოები და მათ აღწერეს სიტუაცია, დაუსვეს ერთმანეთს შეკითხვები. საჭიროების შემთხვევაში, ვუსწორებდი პასუხებს. მოსწავლეებმა შეაფასეს ერთმანეთი, ამის შემდეგ მე შევასვე მოსწავლეები, შეფასების რუბრიკის მიხედვით, ჯგუფურად, განმსაზღვრელი შეფასებით. ბოლოს მივეცი საშინაო დავალება, დაენერათ თავიანთი მოსაზრებები II მსოფლიო ომის შესახებ (დავალება დამატებითი ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში).

ჯგუფურმა მუშაობამ კარგი შედეგი მომცა, მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი ტექსტზე მუშაობას.

ჩემი აზრით, საჭირო იყო, ყოველი აქტივობის შემდეგ, მოსწავლეებისათვის მიმეცა შეკითხვები, მომავალში ამას აუცილებლად გავითვალისწინებ.



**მანდატურის სამსახური**

**მოსწავლეებში ნივთიერებათა ავადმომხარეობის პრევენციის პროგრამა**

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის, ნივთიერებათა ავადმომხარეობის პრევენციის და სოციალური უნარ-ჩვევების გაძლიერების გრძელვადიანი პროექტის საპილოტე სკოლებში განხორციელებას აგრძელებს.

მოსწავლეებში ნივთიერების ავადმომხარეობის და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრევენციის პროგრამის ფარგლებში, ტრენინგები, ამჯერად, ბათუმის მე-8 საჯარო სკოლაში ჩატარდა.

მეშვიდეკლასელებისთვის პროგრამა ნივთიერებათა ავადმომხარეობის პრევენციის მტკიცებულებითი მეთოდის

(EU DAP UNPLUGGED PROGRAM) გამოყენებით განხორციელდა. მეთოდის სახელწოდებაა – „ცოცხალი შესრულებით“, რაც კოგნიტიური სოციალური გავლენის მოდელს ეფუძნება და ამ მიმართულებით, სიახლეს წარმოადგენს. ამჟამად, აღნიშნულ მეთოდს ევროკავშირის 15 ქვეყანა წარმატებით იყენებს.

პროგრამის შემუშავების დროს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა ფონდთან „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან.

**საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრები მოსწავლეებთან**

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები აქტიურად აგრძელებენ საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს, სხვადასხვა აქტიუალურ საკითხზე, საჯარო სკოლების უმცროსკლასელებთან.

მორიგი შეხვედრა თბილისის №51 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელებთან გაიმართა. მანდატურები ბავშვებს საგზაო უსაფრთხოების წესებზე ესაუბრნენ.

შეხვედრა ინტერაქციული იყო და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მანდატურებმა მოსწავლეებისთვის საინტერესო შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს.

მსგავსი საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები უმცროსკლასელებთან საქართველოს ყველა იმ საჯარო სკოლაში იმართება, სადაც მანდატურის სამსახურია წარმოდგენილი. მანდატურები ბავშვებს სასკოლო უსაფრთხოებაზე, ბულინგსა და კიბერბულინგთან დაკავშირებულ საკითხებსა და საგზაო უსაფრთხოებაზე ესაუბრებიან. ამასთან, პირველკლასელებს მანდატურები თავიანთი საქმიანობის სპეციფიკასაც აცნობენ და ბავშვებს პირადად ეცნობიან.

**ონლაინ ტრენინგები ადამიანის უფლებების თემაზე**

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისა და ევროპის საბჭოს პროექტის – „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ – მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, ადამიანის უფლებების თემაზე, ონლაინ ტრენინგები დაიწყო. ტრენინგებს ის მანდატურები, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები უძღვებიან, რომლებიც, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ტრენინგებად მომზადდნენ და ამჯერად საკუთარ კოლეგებს გადაამზადებენ.

ონლაინ ტრენინგები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: სიძულვილის ენა, დისკრიმინაცია და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები; კიბერბულინგი და სიძულვილის ენა ონლაინ სივრცეში; ადამიანის უფლებები და თანამედროვე გამოწვევები; ბავშვთა უფლებები; სტერეოტიპები და ცრურწმენები; შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა უფლებები და სხვა.



ინფორმაცია საგამოცდო პროცესის შესახებ

გამოცდები 2021 წელსაც ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდება: ფორმატი ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებს. გამოცდაში მონაწილე პირი დავალდება მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე დაინახავს, პასუხებს კი, ჩვეულებრივ, პასუხების ფურცელზე მონიშნავს ან დაწერს.

- აბიტურიენტი ცხადდება საგამოცდო ბარათზე მოცემულ საგამოცდო ცენტრში მითითებულ დროს.
რეგისტრაციის ვაკვამდე აბარებს ზედმეტ ნივთებს.
რეგისტრაციის ვაკვამდე იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს შესაბამის სექტორში.
აბიტურიენტი მიიღებს პასუხების ფურცელს და ფურცელს შავი სამუშაოსათვის, ასევე გამოცდით გათვალისწინებულ დამხმარე მასალას (მაგ.: რუკა, მენდელეევის ტაბულა).
აბიტურიენტი, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შავი ფერის გელიანი (ე. წ. ტუშის) კალამი 0,5-0,7 მმ. ბურთულიანი ფერის.
ანონიმურობის უზრუნველსაყოფად პასუხების ფურცელზე დაიკრება ინდივიდუალური შტრიხკოდი.
განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პასუხების ფურცლის დაუზიანებლობას. არ შეიძლება მისი დაკეცვა ან დაჭიმუჭვა, რაიმე ჩანანერის გაკეთება (რომელიც არ ეხება ტესტის კითხვების პასუხს).
სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
ყველა საგამოცდო ცენტრში, რეგისტრაციის სივრცესა და სექტორში დამონტაჟებულ იქნება ვიდეოკამერა, ჩაინერება მთელი საგამოცდო პროცესი და შეიქმნება ვიდეოარქივი;
საგამოცდო დროის ამონურვის ან აბიტურიენტის მიერ სამუშაოს ადრე დასრულების შემთხვევაში, დამკვირვებელი ამონებს აბიტურიენტის პასუხების ფურცლისა და შტრიხკოდის დაუზიანებლობას, რასაც აბიტურიენტი ადასტურებს უწყისში ხელმოწერით და ამის შემდეგ დამკვირვებელს აბარებს ნამუშევარს;
საგამოცდო პროცესი ამით სრულდება. პასუხების ფურცლები ილუქება და იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

როგორ უნდა მოიქცეს აბიტურიენტი, თუ მიაჩნია, რომ გამოცდის მიმდინარეობისას მის მიმართ დაირღვა დადგენილი წესები ან ტესტირების პროცედურები?

ასეთ შემთხვევაში აბიტურიენტმა გამოცდის დღის 21:00 საათამდე განცხადებით უნდა მიმართოს (ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე განაცხადი) იმ საგამოცდო ცენტრის ადმინისტრაციას, სადაც ჩააბარა გამოცდა. განცხადება საპრეტენზიო კომისიას გადაეცემა არაუგვიანეს მომდევნო დღისა და განიხილება განაცხადის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში. პასუხს განმცხადებელი გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის ვადაში შეიტყობს.

წესები, რომლებიც უნდა დაიცვას აბიტურიენტი გამოცდის მიმდინარეობისას

წესები ემსახურება გამოცდის მიმდინარეობისას აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნას, თანაბარი პირობების უზრუნველყოფას.

- აბიტურიენტი უნდა გამოცხადდეს საგამოცდო ბარათზე მითითებული განრიგის მიხედვით აღნიშნულ მისამართზე და გაიაროს რეგისტრაცია.
გათვალისწინეთ: რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაიშვება;
რეგისტრაცია იწყება გამოცდამდე ერთი საათით ადრე (ბარათზე მითითებულია რეგისტრაციის დაწყების დრო);
აბიტურიენტმა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი და პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი დოკუმენტი/პასპორტი ან სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის ბუქდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დამონებული განაცხადი/განცხადება, ანკეტა/ამონაბუქტი ან სხვა დოკუმენტი, რომელზეც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი და პირადი ნომერი; აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა წყლის (პლასტმასის ბოთლით), პირადი ჰიგიენის ნივთებისა და სურვილის შემთხვევაში, გელიანი (ე. წ. ტუშის) შავი ფერის კალამი, 0,5-0,7მმ ბურთულიანი წვერი.

აბიტურიენტი უნდა დაემორჩილოს აბიტურიენტის უფლება-მოვალეობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ წესებს.

- გათვალისწინეთ, რომ აბიტურიენტი გაფრთხილების ვარგისეობა გამოცდიდან:
ლექსიკონის, დამხმარე მასალის, ე.წ. „შპარგალის“, მობილური ტელეფონის, ე.წ. ტაბლეტის, ელექტრო საათის, კალკულატორის ან სხვა ელექტრონული აპარატურის აღმოჩენისას (თუნდაც ელექტრონული ხელსაწყო გამოართული იყოს);
წესრიგის უხეში დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;
ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში;
ჩამოთვლილის გარდა, ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას აბიტურიენტი იღებს გაფრთხილებას, მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი იხსნება გამოცდიდან.
გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტები გაეცნობიან წესებს, რომლებიც უნდა დაიცვან ტესტირების პროცესში:
აბიტურიენტები საგამოცდო სექტორში უნდა დასხდნენ მათთვის განკუთვნილ ადგილას;
მაგიდაზე, რომელზეც განთავსებულია კომპიუტერი, მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, გელიანი (ე.წ. ტუშის) შავი ფერის კალმის, პასუხების ფურცლისა და შავი სამუშაოსათვის განკუთვნილი ფურცლის ან გამოცდით გათვალისწინებული დამხმარე მასალის (მაგ.: რუკა, მენდელეევის ტაბულა) დადება შეიძლება – არც ერთი სხვა ნივთი არ უნდა იდოს სამუშაო მაგიდაზე (წყალი პლასტმასის ბოთლით შეუძლიათ დადონ იატაკზე);
პასუხების ფურცლების დარიგებისას დაკვირვებით უნდა შეამოწმონ პასუხების ფურცელი დამკვირვებელთან ერთად, რათა დარწმუნდეთ, რომ დაუზიანებელია - ეს სექტორის უწყისში ხელმოწერით უნდა დაადასტუროთ;
ხარვეზიან პასუხების ფურცელს ახლით შეგიცვლიან.

პასუხების ფურცელზე დაკრული შტრიხკოდის ნომერი თავად უნდა ჩანაწერთ სექტორის უწყისის შესაბამის ბრაფაში.

ტესტზე მუშაობა იწყება სისტემაში სპეციალური კოდის შეყვანის შემდეგ.

- საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ დამკვირვებელს.
გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე დამკვირვებელი შეგახსენებთ დროს, რათა დროულად დაასრულოთ ტესტი;
დრო ემატებათ მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომელთაც წინასწარ მოითხოვეს სპეციალური პირობების შექმნა და წარმოადგინეს შესაბამისი სამედიცინო ცნობა, რის საფუძველზეც ცენტრში შექმნილია კომისიამ (რეგისტრირებულ ფუნქციონალური დარღვევის მქონე აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი ცნობების განხილვის თაობაზე შექმნილი კომისია) დროის დამატებასთან დაკავშირებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.
თუ დროზე ადრე დაასრულებთ მუშაობას, მიმართავთ დამკვირვებელს, რომელსაც დადგენილი წესით ჩააბარებთ პასუხების ფურცელს, ასევე შავი სამუშაოსათვის განკუთვნილ ფურცელს. პასუხების ფურცლის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით დაადასტურებთ სექტორის უწყისში. ნაშრომის ჩაბარების შემდეგ კი დატოვებთ საგამოცდო სექტორს.
აბიტურიენტი უნდა დაემორჩილოს დამკვირვებლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას გამოცდიდან მოხსნის თაობაზე.

გათვალისწინეთ, ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

- პასუხების ფურცელი ან შტრიხკოდი დაზიანებულია;
აბიტურიენტი საგამოცდო დროის ამონურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ ჩააბარებს პასუხების ფურცელს;
პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან.
აბიტურიენტის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საპრეტენზიო კომისიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება აბიტურიენტის ნაშრომის ნული ქულით შეფასების თაობაზე.

გახსოვდეთ, არ შეიძლება:

- პასუხების ფურცლის გაკეცვა, შტრიხკოდის გაფერადება, დაზიანება და ა.შ.;
გამოცდის მიმდინარეობისას აბიტურიენტების ერთმანეთთან გადალაპარაკება;
დახმარების მცდელობა ან სხვა პირისაგან დახმარების მიღება;
დახმარების აღმოჩენის/მიღების ან საუბრის შემთხვევაში აბიტურიენტი მიიღებს გაფრთხილებას (გათვალისწინეთ, რომ განმეორებითი გაფრთხილების შემთხვევაში აბიტურიენტი იხსნება გამოცდიდან).

პირველადი შედეგების გამოცხადება – სად და როგორ შე-



იტყობენ აბიტურიენტები პირველად შედეგებს?

ნაშრომების გასწორების პროცესის დასრულების შემდეგ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდება ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგები – აბიტურიენტების მიერ თითოეულ საგანში მიღებული ნედი ქულა. ყველა აბიტურიენტს ექნება შესაძლებლობა, ნახოს პასუხების ფურცლები, რომლებიც განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. აბიტურიენტი სპეციალური საძიებო სისტემის მეშვეობით – საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით, შეძლებს იხილოს და ამობეჭდოს პასუხების ფურცლის ასლი სასურველ საგანში.

ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებული პრეტენზიის განცხადების შეფასებასთან დაკავშირებული პრეტენზია

როგორ ხდება ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განცხადების შეტანა?


- თუ აბიტურიენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მას შეუძლია გააპროტესტოს ცალკეულ საგამოცდო საგანში მიღებული ქულა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში. ამ შემთხვევაში მან უნდა შეავსოს ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადი.
საპრეტენზიო განაცხადის ელექტრონულად (ინტერნეტით) შევსებისათვის საჭირო პროცედურები და ვადები განთავსდება ვებგვერდებზე: www.naec.ge; online.naec.ge.
საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასური განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით (ერთი საგანისათვის).
საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დანიშნულებაში საქართველოს მოქალაქე უთითებს აბიტურიენტის გვარს, სახელსა და პირად ნომერს. უცხო ქვეყნის მოქალაქე, ასევე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი, რომელიც დარეგისტრირდება, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, უთითებს აბიტურიენტის გვარს, სახელს, პირადობის (ბინადრობის) მონომობის/პასპორტის სერიას და ნომერს (პასპორტის სერიის ყველა სიმბოლო, იქნება ეს ციფრები თუ ასოები, ივსება მიყოლებით, სივრცის დატოვების გარეშე).

გადახდის შესაძლო საშუალებები და საბანკო მომსახურების საკომისიო:

- „საქართველოს ბანკის“ სერვისცენტრებით – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 0,5 ლარი;
ვებგვერდზე epay.ge – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;
„საქართველოს ბანკის“ თვითმომსახურების ტერმინალით – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;
„საქართველოს ბანკის“ ინტერნეტბანკინგის საშუალებით – ibank.ge – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 1 ლარი;
ცენტრის ვებგვერდიდან – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 0,5 ლარი;
OPPA.ge-ის თვითმომსახურების ტერმინალით – საფასურს ემატება მომსახურების საკომისიო 0,5 ლარი (თანხა აისახება მომდევნო დღეს).

განაცხადში მითითებული უნდა იყოს იმ ტესტური დავალებების ნომრები, რომელთა შეფასებასაც აბიტურიენტი არ ეთანხმება. გასწორებისას შემომხმდება მონიშნული ტესტური დავალება მთლიანად. თუ დავალება არ არის მონიშნული, სწორდება მთლიანი ტესტი. საგნობრივი კომისია გადაწყვეტილებას იღებს საპრეტენზიო განაცხადების წარმოდგენის დასრულებიდან 20 დღის ვადაში. საგნობრივი კომისიის ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება აისახება გამოსაცდელის პირად სარეგისტრაციო გვერდზე და შედეგის ნახვა მხოლოდ მისთვის იქნება შესაძლებელი.

იმ შემთხვევაში, თუ ტესტის შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადის საფუძველზე შეიცვლება ტესტის შეფასება, ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში აბიტურიენტმა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში უნდა წარმოადგინოს განაცხადება (ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით) ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის თაობაზე. თანხა დაბრუნდება განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, გამოსაცდელის მიერ განაცხადზე დართულ საბანკო რეკვიზიტებზე.



ფსიქოლოგის რეკომენდაციები



ვაგეცადინოთ თუ ვათავაშოთ სკოლაშდელი ასაკის ბავშვი

უნდა ვამეცადინოთ თუ არა სკოლაშდელი ასაკის ბავშვი? – ეს კითხვა ბევრ მშობელს ანუხებს. პირველ რიგში, ალბათ მნიშვნელოვანია ჩვენ განვასხვავოთ ერთმანეთისგან სწავლა და დასწავლა. სწავლა ისეთი პროცესია, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში თან გვდევს და ეს სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში სრულიად გაუცნობიერებლად შეიძლება განხორციელდეს, ანუ ეს არის გამოცდილების მიღება ჩვენი ცხოვრების განმავლობაში. რაც შეეხება დასწავლას, ეს არის ნებისყოფით გაშუალებული და მიზანმიმართული პროცესი, რომელსაც სჭირდება ძალისხმევა, ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული ყურადღების კონცენტრაცია.


იმითმომ რომ ბავშვისთვის თამაში არის ცხოვრების შესწავლა, უნარების განვითარება, თავისი პოტენციალის რეალიზება, მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება. აი, ეს არის თამაში, განსაკუთრებით, შემეცნებითი და როლური თამაშები. პირველი, რასაც ჩვენ მშობლებს ვეკითხებით, როლურ და წარმოსახვით თამაშებს თუ თამაშობს ბავშვი. სწორედ ამ წარმოსახვითი თამაშებით ემზადება იგი მომავალი ცხოვრებისთვის. ეს არ არის არც გაჯეტების შედეგი და არც კომპიუტერული განმავითარებელი თამაშების, იმ თამაშებს არ აქვთ ის გავლენა ამ ასაკში (ცხადია, მომავალ ასაკზე არ ვლაპარაკობ), როგორც გავლენა აქვს ხოლმე რეალურ შემეცნებით და წარმოსახვით როლურ თამაშებს. ყველა ფსიქოლოგი თანხმდება ამაზე და კარგი საგანმანათლებლო სკოლაშდელი პროგრამები ავებულებს თამაშზე იმისთვის, რომ ბავშვმა შეიმეცნოს სამყარო, მოემზადოს ცხოვრებისთვის და ჰქონდეს კეთილდღეობის განცდა.

რა იწვევს ბავშვის დემოტივაციას სწავლაში

ძალიან ხშირად მშობლები ჩივიან, რომ ბავშვს ინტერესები არ აქვს, წელავს დროს, არ უნდა მეცადინეობა. კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ დასწავლას სჭირდება ნებისყოფა. აქ ორი მომენტი: ერთი – დემოტივაცია, ანუ ბავშვს არ აქვს ინტერესი, შეიმეცნოს ის რაღაცები, რაც მას სკოლაში ეძლევა და მეორე – ე.წ. აღმასრულებელი ფუნქციები, რაც ჩვენთვის, ნეიროფსიქოლოგებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ცხოვრების პირველივე წლიდან აღიზრდება ბავშვში. რას ნიშნავს აღმასრულებელი ფუნქცია – დავისახო მიზანი, შევიკავო იმპულსი, გადავავადო, დავგეგმო, კონტროლი გავუწიო. აი, ამ ყველაფერს ბავშვი ერთი წლიდან უნდა სწავლობდეს, ჩვენთან ურთიერთობის შედეგად და სკოლისთვის მომზადებას სწორედ ამას ნიშნავს. რატომ ვაინიშნავთ 6 წელი (მე რომ მკითხო, 7 წელი უნდა იყოს) სასკოლო პერიოდისთვის, იმიტომ, რომ ამ დროისთვის ნებელობა, დაგეგმვა, იმპულსის შეკავება უკვე ჩამოყალიბებულია, თუ ეს ასეა და ბავშვი მაინც პროტესტს აცხადებს, ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ეს უბრალოდ არ აინტერესებს. ახლა ასე შევხედოთ ამ სიტუაციას – ჩვენ თუ არ ვვინტერესებ და არ გვაქვს მოტივაცია, ანუ არ გვაქვს სურვილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების, შემეცნებითი მოთხოვნილების, ჩვენი ქცევა უბრალოდ არ აღიქვამება, მეტი არაფერი. ასეა ბავშვიც. მისთვის ეს არის უინტერესო.

ახლა ვიკითხოთ რატომ? დღევანდელი ბავშვი 30 წლის წინანდელ ბავშვს, ანუ ჩვენ არ გვგავს. რატომ? იმიტომ, რომ დღეს ისე მიდის ეს აიტი-ტექნოლოგიები, რომ ამ ფონზე ჩვენი სწავლება და ჩვენ მიერ გადაცემული ინფორმაცია არის უფერული, ნაცრისფერი, რაღაც გაუგებრობა. იმიტომ კი არა, რომ ცუდია ეს ინფორმაცია, იმიტომ, რომ ამ ბავშვისთვის არ არის მისაღები, რეპრეზენტატიული. მისთვის თამაშების, ფერადი გაჯეტური ცხოვრების ფონზე, ეს სრულიად უინტერესოა, ამიტომ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია მულტიმედია მეთოდების ჩართვა სასწავლო პროცესში, რაც ადვილი არ არის, მოითხოვს მასწავლებლების გადამზადებას და ამ ტექნოლოგიების დანერგვას ყველგან. ამავდროულად, ხალხს კომპიუტერი არ აქვს და როგორ შეიძლება მულტიმედიაზე საუბარი?! ეს ერთი, მეორე – მე არ ვარ განათლების სპეციალისტი და ვერ შევიჭრები სხვის სფეროში, მაგრამ მგონია (იმ ბავშვების მაგალითზე, ვინც ჩვენთან მოდის და ზოგადად, ვინც გვთხოვს კონსულტაციას), რომ ძალიან ბევრი დავალება აქვთ ამ ბავშვებს. ახლა ვიკითხოთ, რა არის დავალება. რატომ ვაძლევთ ბავშვებს დავალებას. ალბათ იმიტომ, რომ განმტკიცდეს ის უნარი, ის პროცესი, ან ის ცოდნა, რომელსაც ჩვენ მას ვაძლევთ. თუ ეს განმტკიცება იქნება მოყვრებისთვის, თუ ამ განმტკიცებას თან ახლავს მოყვრება, მობეზრება და თუ ეს არის ძალიან უინტერესო და ზედმეტად ენერჯის დამხარჯველი, მაშინ ის ამ როლს ვერ შეასრულებს და გამოიწვევს დემოტივაციას. აქედან მორალი – ბავშვს დავალება ისე უნდა მიეცეთ, როგორც ვიგოტსკი გვეტყობა. ვიგოტსკი ყველა მასწავლებელმა ზეპირად იცის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია მისი ცხოვრებაში გამოყენება. ჩვენ ოდნავ ვუსწრებთ ბავშვის განვითარების ზონას, ვეცადოთ, ისე დავაინტერესოთ ბავშვი, რომ ზედმეტი ტვირთი არ ავიკოთ. აქედან გამომდინარე, მეჩვენება, რომ დავალებების შემცირება და სხხარულით გაკეთება ჩართავს სწორედ იმ მექანიზმს, რაც სჭირდება მასწავლებლებს და მოტივაციას აუმაღლებს ბავშვებს. და მეორე – მე, ბავშვი, დავალებას რომ გავაკეთებ, თქვენ, მშობლებმაც და მასწავლებლებმაც, ეს უნდა აღინიშნოს, უნდა გავიხარდეთ და უკუკავშირი მომცეთ, რა ყოჩაღი ვარ, ეს დავალება რომ გავაკეთე! შეიძლება რაღაც შენიშვნებიც გქონდეთ, მაგრამ ჯერ უნდა შემაქოთ და მეორე მითხრათ, რისი გაკეთება შეიძლებოდა, დაეუფეთ, უკეთესად.

პროექტი „მშობლები იზოლაციის დროს“



აჭარაში ბავშვთა უფლებების სენტრი გაიხსნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ეკატერინე დგებუაძე, საქართველოში გაეროს ბავშვის ფონდის წარმომადგენელი ლასან ხალილი, ესტონეთის ელჩი რიინა კალიურანდი და ნორვეგიის ელჩი ჰელენ ანდრესენი, ერთობლივი სამუშაო ვიზიტით, აჭარაში იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში სტუმრებმა, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო შეხვედრები გამართეს და ის ერთობლივი პროექტები განიხილეს, რომლებიც აჭარაში გაეროს ბავშვთა ფონდის, ესტონეთისა და ნორვეგიის მთავრობების მხარდაჭერით ხორციელდება.

სტუმრებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს დისტანციური სწავლების ხელშეწყობის ერთობლივ პროექტზე, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის, მათ შორის, აჭარის 30 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესტონურ მოდელს გაეცნობიან, დისტანციური სწავლების დანერგვის პრაქტიკის კუთხით.

ეკატერინე დგებუაძემ, აჭარის განათლების მინისტრთან, UNICEF-ის წარმომადგენელთან და ელჩებთან ერთად, აღნიშნა

ნულ პროექტში ახლად ჩართული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლაც მოინახულა. სტუმრებმა ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და ადგილზე გაეცნენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. ამასთან, მახუნცეთის საჯარო სკოლას გაეროს ბავშვთა ფონდმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის განმავითარებელი სათამაშოები, წიგნები და სხვა საგანმანათლებლო რესურსები გადასცა საჩუქრად.

აჭარის რეგიონში ვიზიტის ფარგლებში, მინისტრის მოადგილე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბავშვთა უფლებების ცენტრის გახსნის ცერემონიას დაესწრო, ბავშვთა უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მომზადების პროცესში უნივერსიტეტების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ახალგაზრდები, რომლებიც მომავალში მასწავლებლის პროფესიას აირჩევენ, სწორედ ბავშვის უფლებებზე ორიენტირებულნი ცოდნით უნდა იყვნენ აღჭურვილები. მხოლოდ ასე შეძლებენ ისინი ბავშვის უფლებათა კონცეფციის პრინციპების გათავისებებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას“. ცენტრის გახსნის ცერემონიაში, ასევე, მონაწილეობდნენ: ესტონეთის ელჩი რიინა კალიურანდი და ნორვეგიის ელჩი ჰელენ ანდრესენი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მათა ხაჯიშვილი და საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ლასან ხალილი.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთა უფლებების ცენტრი აჭარის რეგიონში პირველია, ხოლო ქვეყნის მასშტაბით – რიგით მეორე. მისი ფუნქციონირება ხელს შეუწყობს აჭარაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, უფლებადამცველების, აკადემიური და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, მასწავლებლების, მშობლებისა და ბავშვების ცნობიერების ამაღლებასა და მათ ინფორმირებას ბავშვთა უფლებების შესახებ.

ცენტრის დაარსების აღსანიშნავად, ნორვეგიის ელჩმა, ჰელენ ანდრესენმა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა და საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა, ლასან ხალილმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

აღსანიშნავია, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი უკვე ფუნქციონირებს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იმართება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები – ტრენინგები, საჯარო ლექციები და დისკუსიები, ასევე, მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო მასალები ბავშვთა უფლებების შესახებ.

გაეროს ბავშვთა ფონდის პროგრამის მიზანია საქართველოს უნივერსიტეტებში ბავშვთა უფლებების კულტურისა და ადამიანური რესურსების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის ბავშვთა უფლებების კურსების შემუშავება მომავალი მასწავლებლების, განათლების ადმინისტრატორების, იურისტებისა და სხვა პროფესიის წარმომადგენლების მოსამზადებლად.

კასპის კოლექტივი პირველ პროფესიულ სტუდენტებს ახალი სასწავლო წლიდან მიიღებს

შიდა ქართლის რეგიონში პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ კასპში თანამედროვე სტანდარტების კოლეჯი აშენდა. ახალი სასწავლო წლიდან, კოლეჯი მსურველებს საინჟინრო, სამშენებლო, სოფლის მეურნეობისა და სხვა მოთხოვნადი მიმართულებების პროფესიულ პროგრამებს შესთავაზებს. პროექტი სრულად დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მისი ღირებულება 5 მილიონ ლარზე მეტია. შენობა 260 სტუდენტზეა გათვლილი და აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით.

კოლეჯის ინფრასტრუქტურის გასაცნობად და ადგილზე არსებული გამოწვევებისა და თანამშრომლობის საკითხების განხილვის მიზნით, კასპის კოლეჯმა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს უმასპინძლა. სამუშაო შეხვედრა ღია დიალოგის ფორმატში წარიმართა და მასში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი, გერმანიის ელჩი საქართველოში ჰუმბერტ ქინიში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის დირექტორი ჰანს-იურგენ კასენსი, საქართველოს პარლამენტის წევრები – გიორგი ხოჯევანიშვილი და ირაკლი მეზურნიშვილი, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე, ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა საბახტარაშვილი და ბიზნესის წარმომადგენლები.

თამარ ქიტიაშვილმა რეგიონის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში ჩართულ ყველა მხარეს მადლობა გადაუხადა: „ჩვენ მზად ვართ, თელავში გამოწვევებზე, პრობლემებზე, სამომავლო გეგმებზე, იმაზე, რა შეგვიძლია გავაკეთოთ ერთად კიდევ უფრო კარგი შედეგისთვის, ამისათვის გვაქვს დიდი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, კერძო ბიზნესიდან და რაც ძალზე მნიშვნელოვანია – ევროპელი მეგობრებისაგან“.

გერმანიის ელჩის, ჰუმბერტ ქინიშის განცხადებით, კასპის მსგავსად, მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს ახალი კოლეჯების დაარსება, მოდერნიზირება და მოწყობა. მისივე თქმით, პროფესიული განათლება არის საშუალება, მსურველებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება, შეიძინონ პროფესია, ჰქონდეთ კარგი შემოსავალი, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის: „გერმანიის მთავრობა მზად არის, მომავალშიც მხარი დაუჭიროოს საქართველოში პროფესიული განათლების განვითარებას“.



სპორტი

# მოთაგაშე მწვრთნელი გობონა ტრადიციულ-კონსერვატიული მთიანი რეგიონიდან

იჩაქლი თავაძე

რაჭის სპორტულ ტრადიციებზე საუბრისას ყველას ძირითადად თავისუფალი ჭიდაობა გაგვახსენდება ხოლმე. ამ ულაგაზესა მთიანმა კუთხემ ხომ, არა მარტო საქართველოს, მსოფლიოს სპორტს მისცა გამორჩეულად წარმატებული ფალანგები, მართლაც ჭიდაობის ლეგენდები და „მოცარტები“.

არადა, რაჭას თურმე ძალთა ფეხბურთიც ჰქონია და ჩვენი დღევანდელი რესპონდენტიც ამ სპორტის მიმდევარია – ქვემო მთიანეთის აგროლოგიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთიდან. როგორ გახდა ის ფეხბურთის ქომაგი და როგორ შეხვდნენ ახას, ერთი შეხედვით, ტრადიციულ-კონსერვატიულ მთიან რეგიონში, რას გვგვამს სამომავლოდ და როგორ უმალავდა ყოველდღიურ დატვირთულ ბრაფიკს, ამაზე თვითონ მოგვითხრობს.

– როგორც ვიცი, სპორტით ბავშვობიდან ხართ გატაცებული...

– ძალიან პატარა ვიყავი, ალბათ, 4-5 წლისა, როცა „ბარსელონას“ თამაში ვნახე. ბუნებრივია, არ მახსოვს, ვის ხვდებოდა, მაგრამ მომეწონა და დღემდე ამ კლუბის ქომაგი ვარ. უფრო რომ დავაზუსტოთ, გუნდზე მეტად, ლიონელ მესის ქომაგი ვარ, მაგრამ ფეხბურთიც ძალიან მიყვარს. ისე, ყველაფერს ვთამაშობდი, რაც შემიძლო – ფრენბურთი, კალათბურთი, მაგრამ ფეხბურთი ყველაზე მეტად მიყვარდა.

– სხვა ბავშვური გატაცებები არ გქონდათ, როგორც თქვენს თანატოლ გოგონებს?

– ნაკლებად. ისე ვიყავი ფეხბურთზე გადართული, რომ დანარჩენი გასართობი ნაკლებად მაინტერესებდა.

– საინტერესოა, გარემომყოფების რეაქცია თქვენს გატაცებაზე – როგორ მიიღეს ეს ოჯახში, სოფელში?

– მშვენიერი რეაქცია ჰქონდათ. თავიდანვე უხაროდათ, ფეხბურთი რომ მომეწონა, ხოლო ასეთ ასაკში ყველა ფეხბურთელი და მნიშვნელოვანი საფეხბურთო ამბები რომ ვიცოდი, ეს კი უკვე უკვირდათ. დღემდე ასე მომყვებიან და უხარიათ, ფეხბურთში რომ წავედი. ისინი დღემდე მქომაგობენ – ამბროლაურში თამაშზე რომ მივდივარ, სოფლიდან ბევრი მომყვება საგულშემატკივროდ. რომ მხვდებიან, ფეხბურთელი გოგოო, მეუბნებიან და უხარია ყველას.

– და-ძმა თუ გყავთ და თუ არიან სპორტით დაკავებულები?

– და-ძმა მყავს. და ჩემზე პატარაა და ისიც ფეხბურთს თამაშობს, ჩემთან ერთად. ძმა უფროსია – 25 წლის და ყველანაირად გვგულშემატკივრობს.

– გატაცება ერთია, მაგრამ ოცნებების, იდეების რეალიზება როგორ მოხდა, როგორ გადაინაზრდა ეს პროფესიულ საქმიანობაში?

– ამბროლაურში რაღაც ტურნირი ტარდებოდა – პროგრამაში გოგონების ფეხბურთი და მარათონი იყო. მე ფეხბურთში გამოვედი, როგორც მახსოვს, ცაგერის გუნდს შევხვდით და მოვივით. რაკი კარგად ვითამაშე, შეხვედრის შემდეგ ამბროლაურის ფეხბურთის მესვეური ბექა ოშხერელი მოვიდა და მითხრა, ხომ არ გინდა, ჩვენი გუნდი შევქმნათ და მოთამაშემწვრთნელი იყოო. ის გვერდში დამიდგა და ძალიან დამეხმარა, რომ აქამდე მოვსულიყავი.

– დადგა დრო, თქვენს ახლანდელ გუნდზეც გვითხრათ...

– ესაა გუნდი „რაჭა“, რომელშიც ჯერჯერობით 18 გოგო ვართ, თუმცა კიდევ შემოგვემატებიან სხვადასხვა რაიონებიდან – ცაგერიდანაც ჩვენთან ჩამოდიან და ონიდანაც. ცდილობთ, მაქსიმალურად ვივარჯიშოთ. ჯერ ტურნირებში არ ჩაერთვით, მაგრამ, ვფიქრობ, მარტივად მეორე ლიგაში დავიწყებთ გამოსვლას.

– სავარჯიშო პირობები გაქვთ?

– ძალიან კარგი პირობები გვაქვს – სტადიონი ახალი აშენებულია და ძალიან კარგადაა გაკეთებული. ყველაფერი გვაქვს, რაც გვჭირდება, კარგი სავარჯიშო პირობებია. ასევე

უზრუნველყოფილი ვართ ბურთებით და სხვა საჭირო ინვენტარით.

– ამბროლაურში რითი დადისარტ გოგოები, სოფლებიდან დადის ასე ინტენსიურად ტრანსპორტი?

– ტრანსპორტის მოძრაობა, პანდემიის დროს, ცოტა ხნით შეჩერებული იყო, მაგრამ ახლა უკვე აღდგა და შეგვიძლია, ვიაროთ, ავტობუსები დადის. როცა ტრანსპორტი გაჩერებული იყო, მაშინ ბაბუას დავყავდი ვარჯიშებზე. გოგონებიდანაც ზოგი ამბროლაურში ცხოვრობს, მაგრამ ბევრი სოფლებიდან დადის. ცდილობენ, არ გააცდინონ ვარჯიში, მით უფრო ახლა, ყველა სოფელში აღდგა ავტობუსების მიმოსვლა. კვირაში 3 დღე ვვარჯიშობთ საათნახევარი ან 2 საათით, შაბათს ორსაათიანი ვარჯიში გვაქვს, სხვა დღეებში – საათნახევარი, რადგან მერე ავტობუსებს ვეღარ ვუხსრებთ.

– არ გიჭირთ მწვრთნელის ფუნქციის შეთავსება, კომუნიკაცია თანაგუნდელებთან?

– ზაფხულში ლაგოდესში ვიყავი მწვრთნელთა სემინარზე. პატარა ვიყავი, მაგრამ მაინც წამიყვანეს და კარგად გავართვი თავი. იქ ფეხბურთელი გოგონებიც იყვნენ და ჩვენი, ვინც მწვრთნელებად ვიყავით მიწვეულები, მათთან გვაშუქავდნენ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილიც იყო მოსული და ბევრ რამეზე გვესაუბრა.

გუნდიც ძალიან კარგია და თანაგუნდელებთან ურთიერთობაში სირთულეები არ მექმნება, პირიქით, ძალიან კარგი გოგონები არიან და ყველანაირად მიდგანან გვერდში. გუნდში ყველაზე პატარა ჩემი დაა – 11 წლის, ყველაზე უფროსი კი მე ვარ – 18 წლის ვხდები.

– მწვრთნელობა ჯობია თუ ფეხბურთელობა?

– ჯერჯერობით – ფეხბურთელობა, რადგან თამაში ახალი დაწყებული მაქვს და მიყვარს ფეხბურთი, თუმცა, ორივე კარგია. თანაც, მე მოთამაშე მწვრთნელი ვარ და შემიძლია, ვითამაშო კიდევ.

– სკოლა, სპორტი, საკმაოდ შორ მანძილზე კვირაში სამჯერ სავარჯიშოდ სიარული, ყოველდღიური ცხოვრება – როგორ ასწრებთ და როგორ უთავსებთ ამდენს ერთმანეთს?

– თან წელს აბიტურიენტი ვარ, უნდა ჩავაბარო და ცოტა მიჭირს, მაგრამ მაინც ვასწრებ ყველაფერს – მეცადინეობასაც, მასწავლებელთან სიარულსაც და ვარჯიშსაც.

– ანუ სპორტი სწავლაში ხელს არ გიშლით...

– არა, არანაირად. პირიქით – მიხარია, რომ თან ვსწავლობ და თან ასე სპორტულად ვცხოვრობ. სწავლითაც ცუდად არ ვსწავლობ – 9-იანზე ნაკლები ნიშანი არ მაქვს.

– სკოლაში რამდენადაა დატვირთული სპორტის გაკვეთილები, სპორტის რომელ სახეობებს ირჩევთ?

– სკოლაში უფრო ჭადრაკს ვითამაშობთ, თუმცა ყველაფერია, რაც გვინდა – ფეხბურთი, კალათბურთი, ღია მოედანიც გვაქვს და სპორტული დარბაზიც, ყველა საჭირო ინვენტარით, თუმცა ბავშვებს უფრო მეტად ჭადრაკი გვაინტერესებს.



– თქვენ ფეხბურთმა მოგცათ სურვილების რეალიზების შესაძლებლობა, მაგრამ სოფელში, რაიონში, რეგიონში ახალგაზრდებს რამდენად გაქვთ პირობები მიზნების ასასრულებლად, რამდენად ხელსაყრელი გარემოა საიმისოდ, რომ არა მხოლოდ სპორტში, არამედ სხვა მიმართულებითაც შეძლოთ მუშაობა და განვითარება?

– როგორც ვიცი, ფრენბურთზე და კალათბურთზე დადიან ბავშვები, არის ჭადრაკიც და ა.შ. ამბროლაურში სპორტის გარდაც არის ადგილები, სადაც შეიძლება შეკრება და სახელოვნებო თუ სხვა თემებზე მსჯელობა, დისკუსია, აზრთა გაზიარება.

– თვითონ სოფელში თუ გაქვთ ამის საშუალება?

– სოფელში – არა. ჯერ ერთი, ცოტანიც ვართ სკოლაში – 21, ხოლო კლასში – 3.

– მაინც რითი ერთობით სოფელში ახალგაზრდები, თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

– ამ ბოლო დროს აღარ მცალია, მაგრამ როცა მეცალია, ჭალა გვაქვს ერთი და იქ ჩავდივით სათამაშოდ, ძირითადად, ფეხბურთს ვითამაშობდით.

– სპორტის გარდა, სხვა გატაცება არაფერი გაქვთ?

– ფსიქოლოგია მაინტერესებს და ძალიან მინდა ფსიქოლოგიურზე ჩაბარება. ეს სფერო ძალიან მიყვარს, როგორც ფეხბურთი, ფსიქოლოგიაც იმ დონეზე მაინტერესებს. დიდი სურვილი მაქვს, უნივერსიტეტში ჩავაბარო, მინდა, ფსიქოლოგია და ფეხბურთი ყოველთვის გვერდში მედგას – იმედია, მოვახერხებ.

– ალბათ, უცხოურ ფეხბურთსაც ადევნებთ თვალს?

– რა თქმა უნდა, როცა გადმოსცემენ, ყოველთვის ვუყურებ. უფრო ხშირად ლა ლიგას ვუყურებ, რადგან იქ „ბარსელონა“ თამაშობს, თუმცა სხვებსაც აქტიურად ვადევნებ თვალს – ბუნდესლიგას, პრემიერ ლიგას, მაგრამ ლა ლიგას გამორჩეულად ვქომაგობ.

– განხილული დარჩებოდათ ჩემპიონთა ლიგაზე „ბარსელონასა“ და ჰსუ-ს შეხვედრის საერთო შედეგით

– ცოტა კი დამწყდა გული, „ბარსელონამ“ შინ 1:4 რომ წააგო, თუმცა დიდად მოულოდნელიც არ ყოფილა – ახლა გუნდი ისეთ დღეშია, ველოდი, რომ ჰსუ-ს დონის კლუბთან გაუჭირდებოდა თამაში. მაინც მაქვს იმედი, რადგან განმეორებითი შეხვედრა ჩასატარებელია და, შეიძლება, ისე მოხდეს, როგორც შარშან.

– ქალთა ფეხბურთსაც ჰყავს ცნობილი ვარსკვლავები და მესის გარდა, სხვაც ხომ არ გაგიჩნდათ კუმირი?

– ამერიკელი ალექს მორგანია ჩემი საყვარელი ფეხბურთელი. თავიდანვე ვაჟთა ფეხბურთს უფრო ვუყურებდი, ქალთა ფეხბურთს კი ბოლო პერიოდში ვადევნებ თვალს, როცა მეც დავინწყე თამაში. ისე კი, ქალებსაც ბევრი კარგი მოთამაშე ჰყავთ. საქართველოშიც არიან კარგი ფეხბურთელები, ახლაც ვნახეთ ლანჩხუთის „გურია“ ჩემპიონთა ლიგაზე სადამდე მივიდა. ბუნებრივია, ჩვენი ისეთი განვითარებულები არ ვართ, როგორც უნდა ვიყოთ, მათ რაც გააკეთეს, ეს დიდი მიღწევაა.

უცხოურზე უფრო მეტად ქართულ ქალთა ფეხბურთს ვადევნებ თვალს, რადგან ეს უკვე ჩემი საქმიანობაა.

– როგორც რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდა, რის გამოსწორებას ისურვებდით?

– ვისურვებდი, რომ უფრო მეტი ჩართულობა იყოს ბავშვებისთვის. მაგალითად, როგორც მე შევედი ფეხბურთში, მინდა, სხვებმაც შეძლოთ თავიანთი ინტერესების მიხედვით განვითარება. ამბროლაურში მეტ-ნაკლებად არის ამის საშუალება, მაგრამ კარგი იქნება, უფრო მეტი მიმართულებით იყოს ეს შესაძლებელი, რომ არც ბიჭებს და არც გოგონებს ჰქონდეს აუსრულებელ ოცნებებზე და არ დარჩეთ.



